წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ და განათლების ფაკულტეტი

მიმართულება: განათლება

ია ფუტკარაძე

პროფესიული განათლების ისტორიიდან

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დედა ბარბარე მეგრელაძე

ხიჭაური- 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში „პროფესიული განათლების ისტორიული ასპექტები“ ¿ ილულია აქტუალური პრობლემა თანამედროვეობისათვის. პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმრბის მნიშვნელობის უკეთ გააზრებისთვის. განსაკუთრებულია იმ ისტორიული გამოცდილების შესწავლა, რომელიც პროფესიულმა განათლებამ გაიარა საქართველოში მე-19 საუკუნიდან.

კვლევის მეცნიერული სიახლეა პროფესიული განათლების განხილვა ისტორიულ ჭრილში, პროგრესული იდეებისა და რეალურად განხორციელებული საქმიანობის გათვალისწინებით, გაანალიზებულია აჭარაში პროფესიული განათლების განვითარების თავისებურებები. ქვეყნის ეკონომიური განვითარების შესაბამისად წარმოჩენილია პროფესიული ტექნიკუმების როლი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდნრობის ლიკვიდაციისთვის.

ნაშრომში გამოყენებული და გაანალიზებულია კვლევები პროფესიული განათლების შესახებ, შეგროვებულია ინტერნეტ რესურსები, მონაცენემები პროფესიული განათლების ამჟამინდელი ვითარების შესახებ.

შესწავლილია აჭარის პროფესიული განათლების განვითარების გზები, მოცემულია ზოგიერთი პროფესიული სასწავლებლის სპეციალობების აღწერა მატერიალური ბაზის მითითებით. ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია პროფესიული განათლების შესახებ არსებული წყაროები და კვლევები.

ნაშრომის გამოყენების სფერო არის საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტები, დაინტერესებული პირები.

Annotation

The bachelor theses professional aducation in historical point of vi discussed as an actual problems for modernity. In case of analyze prifessional aducation it is specific to study its historical experience. This is the development of professional aducation from IX century.

The novelty of reserch is to discuss the professional aducation in historical point of view. It is realized the developmet of professional aducation in Ajaria . According to the development of economy in this country it is demonstrated the role of professional technical school for reading and writing liquidation in society.

In the bachelor theses it is used and realised the researches about professional aducation and also it is used internet sources.

It is remarking the development of professional aducation in Ajaria, it is given the describing some trade school faculty. In the bachelor theses it is given the sources, researches and statistic analyzes of professional aducation.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი პირველი: პროფესიული განათლების ისტორიიდან

§1. წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვართკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე.....12

§2. პროფესიული განათლება მე-19 საუკუნეში.....16

§3. პროფესიული ტექნიკუმების მუშაობა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის.....19

§4. საშუალო და პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის.....22

§5. პროფესიული ტექნიკუმები კადრების მოსამზადებლად.....24

თავი მეორე: პროფტექნიკური განათლება აჭარაში

§6. პროფესიული ტექნიკური განათლება აჭარაში.....28

§7. საშუალო პედაგოგიური განათლების სისტემა აჭარაში.....38

§8.აჭარში ამჟამინდელი პროფესიული სასწავლებლები.....46

დასკვნები რეკომენდაციები.....51

ლიტერატურის დასახელება.....55

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოში მიმდინარე, საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არისნ პროფსიული სკოლის განვითარება, განხორციელებული საქმიანობის შედეგად შეიქმნა პროფესიული სკოლები ,უნივერ-სიტეტებთან გაფართოვდა არსებული, ჩამოყალიბდა ახალი სპეციალობები, შესაბამისი სასწავლო გეგმები, მოქმედებს პროფესიული სკოლების განვითარების მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც სიახლეების დანერგვაში ეხმარება პროფესიულ სკოლებს, დაგეგმილია პროფესიული სკოლების ქსელის კიდევ უფრო გაფართოვება.

მიმდინარე პროცეცსები ბევრ და საინტერესო თანამედროვე მიმართულებებს მოიცავს ამ ფონზე ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია იმ ისტორიული გამოცდილების შესწავლა რომელიც, ქართულმა პროფესიულმა განათლებამ განვლო. ისტორია კი სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს, როცა დუშეთის მაზრაში სოფელ წინამძღვარია-ნთკარში დაარსდა სამეურნეო სკოლა ამ სკოლის ამოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა წმინდა ილია მართალმა.(ილია ჭავჭავაძემ) პროფესიული სკოლები გაიხსნა თბილისშიც.

XX საუკუნის დასაწყისში განათლების სახალხო კომიოსარიატი შეუდგა სახალხო განათლების სისტემის დამუშავებას და ცხოვრებაში გატარებას.ამ სისტემის დანიშნულებას წარმოადგენდა სახალხო განათლების დემოკრატიზაცია უფასო და სავალდებულო საყოველთაო პოლიტექნიკური განათლება. სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების ქსელის შექმნა, ერთიანი შრომის სკოლის პრინციპების დანერგვა, სწავლების შემოღება დედაენაზე და მისი დაკავშირება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან. საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა. გადაუდებელ ამოცანად იქნა მიჩნეული პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართოდ განვითარება.

განსახკომის ერთ-ერთ საგულისხმო დადგენილებად, რომელიც ეხებოდა საშუ-ალო სპეციალურ განათლებას ითვლებოდა 1921 წლის 19 ნოემბრის დადგენილება. პედაგოგიური კურსებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების დაარსების შესახებ. შემდგომში განსახკომის ყურადღება საშუალო სპეციალური განათლებისადმი უფრო

ქმედით ეფექტურ ხასიათს იღებდა. განსახკომს აუცილებლად მიაჩნდა ტექნიკუმებისთვის სასწავლო პროგრამების შედგენა. ამ მიზნით შეიქმნა საპროგრამო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას, კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა პროგრამების შეასდგენად.

საშუალო სპეციალურ განათლების ორგანიზაციულ-სტრუქტურული განმტკიცებისა და ტექნიკუმების ამოცანების განსაზღვრა-დადგენის საქმეში დიდი როლი შეასრულა დებულებამ „საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკუმების შესახებ“ საქართველოს სსრ ყველა საშუალო სასწავლო სასწავლებელს, რომლებიც განსახკომის უწყებაში შედიოდა ტექნიკუმები ეწოდა. ამავე პერიოდში მიღებული იქნა დებულება საქართველოს სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმების შესახებ .

სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმების კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ ტექნიკოსის წოდება, ხოლო მოსწავლეები პრაქტიკული სტჟას შემდეგ, ინჟინერ-პრაქტიკოსის წოდება, მათ მიერ შერჩეულ სპეციალობაში.

სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშაოებს ესაჭიროებოდა სპეციალისტთა კადრები. განსახკომი უდიდეს მუშაობას ატარებდა ამ მიმართულებით, რამაც მოკლე დროში სათანადო შედეგი გამოიღო: სახალხო მეურნეობა ღებულობდა ახალ- ახალ ნაკადს. ყოველწლიურად უმჯობესდებოდა მათი მომზადების ხარისხი. განსახკომმა უდიდესი შრომა გასწია საშუალო სპეციალური განათლების რეორგანიზაციისთვის. განმტკიცდა მათი სასწავლო მატერიალური ბაზა და ორგანიზაციული სტრუქტურა.

XX საუკუნის ოთხმოციანი წლებისთვის გაფართოვდა და შეიქმნა საშუალო პროფესიული სკოლების ტექნიკუმების ქსელი. აღსანიშნავისა, რომ საშუალო პროფესიულ სკოლებში მოსწავლეები ღებულობენ საშუალო და პროფესიულ განათლებას, თითქმის ყველგან კეთილმოეწყო მატერიალური ბაზა. აიგო ახალი კორპუსები; სასწავლო, სახელოსნო, საძინებელი, სასადილო. სწავლა როგორც ყველა საგანმანათლებლო სისტემაში აქაც უფასო იყო. უფასო იყო კვება(საუზმე, სადილი, ვახშამი) სოფლიდან ჩამოსული ბავშვებისათვის იყო საძინებელი კორპუსები. პროფესიული სკოლები კონტიგენტით უზრუნველყოფილი იყო. უზრუნვ-ელყო-ფისათვის დიდი სამუშაოები ტარდებოდა ადგილობრივი მმართვე-ლობითი ორგანოების მიერ. ყველა სკოლას ჰქონდა არაოფიციალური გეგმა, 9 კლასის დამთავრების შემდეგ

რომელ პროფესიულ სკოლაში უნდა გაეგზავნათ მოსწავლეები. ხდებოდა გადარჩევა: X კლასში სწავლას გააგრძელებდნენ წარმატებული აკადემიური მაცვენებლის მქონე მოსწავლეები. საშუალო წარმატების მქონეთ კი ურჩევდნენ სწავლის გაგრძელებას პროფესიულ სასწავლებლებში.

ინტერვიუებით, შეხვედრებით, მოგონებებით გავარკვიეთ, რომ ზოგიერთ სპეციალობაზე სწავლის გაგძელება არ ხდებოდა მოსწავლის სურვილით, არამედ ერთგვარი მითითებით, მაგრამ შემდეგ კარგად გამოიყენეს მიღებული სპეციალობა. იყო სპეციალობები სადაც დაგეგმილ კონტგენტზე მეტი იყო მსურველი. რესპოდენტები აღნიშნავდნენ სწავლისა და ყოფაცხოვრების კარგ პირობებს, ხელშეწყობას, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელელბის შესაძლებლობას.

შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დიდი და ვრცელი წინააღმდეგობებით სავსე, გზაა განვლილი, რომელიც მრავამხრივ გამოკვლევას საჭიროებს. ერთ-ერთი ნ. გუგუნავა სემინარიის დამუშავების დროს წყაროში „განათლება აჭარაში ბოლო ათწლეულში“ წავიკითხეთ ინფორმაცია რომ 1996 წელს ხულოში ყოფილი სკოლა ინტერნატის შენობაში, გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი პროფესიული სასწავლებელი, რომლის პირველ რექტორად დაინიშნა დეკან-ოზი გროგოლ აბულაძე, რომელიც ამჟამად არის სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირი-დონი, მისი ხელდასმით ჩვენს უნივერსიტეტთან მოქმედებს აკრედიტირებული პ-როფესიული სკოლა 4 სპეციალობით.

ამ ინფორმაციებმა დამაინტერესა და დავიწყე პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციების მოძიება. ვიყავი განათლების მუზეუმში შევხვდი განათლების სკოლის კურსდამთავრებულებს. ჩემი სასემინარო თემა კვლევის საგანი გახდა. განვიზრახე მოპოვებული მასალები გამემდიდრებინა და შემექმნა სამაგისტრო ნაშრომი. ჩემი ნაფიქრი გავუძიარე თემის ხელმძღვანელს და დავიწყე მუშაობის გაგრძელება.

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ მე მხოლოდ ფანჯარა შევაღე ,პრობლემა კიდევ მეტ ფუნდამეტურ კვლევას საჭიროებს.

კვლევის მიზანი:

ქვეყნის განვითარებაში პროფესიული განათლების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები:

1. შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს პროფესიული განათლების ამსახველი მასალები XIX საუკუნიდან.
2. წარმოჩინდეს პროფესიული ტქნიკუმების მუშაობა წერა კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის.
3. აჭარაში პროფესიულ ტექნიკური განათლების შესახებ არსებული კვლევების მოძიება და ანალიზი.
4. აჭარაში საშუალო პედაგოგიური განათლების სისტემის განვითარების შესახებ მასალების მოძიება და ანალიზი.
5. ამჟამად მოქმედი პროფესიული სასწავლებლების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

კვლევის მეთოდები:

წყაროების ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, ელექტრონული წყაროების მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

ქვეყნის განვითარებაში პროფესიული განათლების როლი და მნისვნელობა განხილულია ისტორიულ ჭრილში. გაანალიზებულია პროფესიული განათლების შესახებ პროგრესული იდეები და რეალურად განხორციელებული საქმიანობა მე-19 საუკუნიდან. ნაჩვენებია აჭარაში პროფესიული განვითარების განათლების შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან, წარმოჩენილია პროფესიული ტექნიკუმების როლი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის. შეგროვებულია მონაცემები აჭარაში ამჟამად არსებული პროფესიული განთლების სისტემის შესახებ.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა:

მოძიებული და გაანალიზებულია პროფესიული განათლების შესახებ არსებული წყაროები, კვლევები, შეგროვებულია სტატისტიკური მონაცემები და გაკეთებულია ანალიზი.

კვლების პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომში მასალები მოცემულია თეორიული განხილვების შესაბამისი შესაბამისი კვლევების ანალიზით, რაც ზრდის მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევის მატერიალულ ტექნიკური ბაზა:

წმინდა ტბელ აბუსელიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, აჭარის განათლების მუზეუმი, აჭარის საჯარო ბიბლიოთეკა, ინტერნეტ სემინარები.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო:

განათლების მიმართულების სტუდენტები, პროფესიული სკოლის სტუდენტები, პედაგ-ოგები და დაინტერესებული პირები.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, რვა პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერ-ატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველი თავის „პროფესიული განათლების ისტორიიდან“ პირველ პარაგრაფში წმინდა ილია მართლის ილია ჭავჭავაძის სიტყვა სიტყვა წინამძღვართკარის სამეურნ-ეო სკოლის გახსნაზე“.

მოცემულია ის ძირითადი ორიენტირები, რომელსაც ეფუძნება პროფესულიგან-ათლება და იგი წარმოჩენილია როგორც ქვეყნის განვითარების უმთავრესი პირობა.აღსანიშნავია, რომ წმინდა ილია მართალის სიტყვა დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და მისი გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება დღევა-ნდელობას.

მეორე პარაგრაფში „პროფესიული განათლება მე-19 საუკუნეში“ აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის მეურნეობის განვითარებაზე ყურადღების გაძლიერება შესამჩნევია, რასაც კვალიფიციური კადრები სჭირდებოდა ამ მიზნით ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, სოფლისმეურნეობის კვლიფიციური მუშაკების მოსამზადებლად, გამოჰქონდათ დადგენილებები სპეციალური სკოლის

გახსნის შესახებ, მაგრამ ამ ღონისძიებათა და დაგადაწყვეტილებათაგან ბევრი ან სრულებით არ ხორციელდებოდა ანდა ათეული წლების შემდეგ.

მესამე პარაგრაფში „ტექნიკუმების მუშაობა წერა- კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის“ მოცემულია ინფორმაცია თუ როდის და როგორ დაიწყო წერა-კითხვის უცოდინრობის პრობლემის აღმოფხვრა საქართველოში. წერა-კითხვისთვის მოძრაობა საქართველოში დაიწყო მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნიდან იგი გაგრძელდა „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მიმართულებით“. ამ პრობლემის აღმოფხვრაში უდიდესი როლი შეასრულა ტქნიკუმებმა და საშუალო სპეციალურმა სკოლებმა, საიდანაც ზაფხულობით მოსწავლეები იგზავნებოდნენ წერა-კითხვის მასწავლებლებად.

მეოთხე პარაგრაფში „საშუალო და პროფესიული საქმიანიბის განვითარებისთვის“ აღწერილია, რომ პრობლემის აღმოფხვრისთვის დაიწყო მუშაობა სკოლების პირველი და მეორე საფეხურის რეორგანიზაციაზე. ეს პროცესი 1930-1931 სასწავლო წელს დასრულდა. მეორე საფეხურის რეორგანიზაცია ითვალისწინებდა სოფელში სოფლის ახალგაზრდობისთვის შვიდწლიანი სკოლის შექმნას, ხოლო ქალაქად შვიდწილიანი სკოლის საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებად გარდაქმნას.

მეხუთე პარაგრაფში „პროფესიული ტქნიკუმები კადრების მოსამზადებლად“ მოცემულია ინფორმაცია პროფტექნიკუმების საჭიროებების და გახსნის შესახებ თუ რისთვის და რა მიმართულებით უნდა გახსნილიყო საქართველოში ტენიკუმები. მოცემული რეალობის თანახმად საქარტველოში ტექნიკუმების ძირითადი ნაწილი გაიხსნა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ასევე დიდი როლი მიენიჭა პედაგოგიურ ტქნიკუმებს 1921-22 წლებისთვის უკვე ჩამოყალიბებულია 29 ტექნიკუმი ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1930-31 სასწავლო წელს კი 137 ტაქნიკუმი და საშუალო სასწავლებელი არსებობდა.

მეექვსე პარაგრაფში „პროფესიულ ტექნიკური განატლება აჭარაში“ აღწერილია, რომ ბათუმში მრეწველობის მოცულობის გაზრდამ დღის წესრიგში დააყენა ტექნიკური კადრების მომზადებისა და საამისოდ ტექნიკური სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა. ამ მიზნით აჭარაში გაიხსნა უამრავი პროფესიული ტექნიკუმი, ამათგან ერთ-ერთი იყო ვაჟთა პროფესიული სასწავლებელი, რომელიც დაარსდა 1889 წელს.

ამ პარაგრაფში ასევე მოცემულია ინფორმაცია აჭარაში პროფესიული სასწავლებლების გახსნისა და ჩამოყალიბების შესახებ.

მეშვიდე პარაგაფში „საშუალო პედაგოგიური გნათლების სისტემა აჭარაში“ მოცემულია საშუალო პედაგოგიური განათლების ისტორია რომელშიც აღწერილია როგორც საშულაო სასწავლებლების გახსნის პროცესებია ასეავე მასწავლებელთა ომზადების პროცესი ასევე გადმოცემულია თუ როდის და სად იხსნებოდა საშუალო საფეხურის სასწავლებლები.

მერვე პარაგრაფში „აჭარაში ამჟამად მოქმედი სასწავლებლები“ გადმოცემულია ცნობები აჭარაში ამჟამად მოქმედი პროფესული სასწავლებლებისა და მათთან არსებული სკოლების შესახებ, ასევე განხილულია მათი სასწავლო პროგრამები.

თავი პირველ

პროფესიული განათლების ისტორიიდან

§1.წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სიტყვა წინამძღვართ კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

ილია მართალი (ილია ჭავჭავაძე) საზოგადოების გარდაქმნას განათლებაში ხედავდა. ამ მიმართულებით მან საუკუნე ნახევრით გაუსწრო მსოფლიოს თანამედროვე გლობალურ ხედვას, რომელიც გაცხადდა 2015 წელს მიღებულ ახალი სამოქმედო მიზნის „განათლება 2030“ განსახორციელებელ განათლების ახალი ხედვის პირველივე პრინციპში „ცხოვრების გარდაქმნა განათლების მეშვეობით“

განათლების განვითარებასთან დაკავშირებით წმინდა ილია მართლის მრავალმხრივი იდეები, საქმიანობები, წერილებში განფენილია საკითხები, მიმართულებები, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს და ცხადყოფს პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის საჭიროებას, რათა სამომავლო გზები უშეცდომოდ გავიაროთ.

ამ მიმართებით საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ სიტყვა წინამძღვართ კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე.

ეს სკოლა გაიხსნა 1883 წელს, დუშეთის მაზრაში სოფელ წინამძღვარიანთ კარში. სამეურნეო სკოლის დაარსების ინიციატორი იყო ილია წინამძღვარიშვილი.

სამეურნეო სკოლაში ასწავლიდნენ: მიწათმოქმედების, მებაღეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მესაქონლეობის, მეტყევეობის, მეაბრეშუმეობის სპეციალობებს. ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებიც.

სკოლაში ირიცხებოდა 43 მოსწავლე, ენენი იყვნენ: თავადები, აზნაურები, გლეხები. მოსწავლეები ადგილობრივის გარდა იყვნენ: ჩამოსახლებულნი მთიულეთიდან. გურიიდან. კახეთიდან, ქართლიდან. სამეურნეო სკოლის გახსნაზე წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სიტყვა მიგვაჩნია იმ ორიენტირად, რომელიც დღეს უნდა გამოვიყენოთ თუ გვწადია ქვეყნის გარდაქმნა უკეთესობისკენ.

სიტყვაში ყოველი ფრაზა მნიშვნელოვანია, ამასთან ისტორიულ მასალებს ნაკლებად ვიცნობთ, ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ სიტყვა უცვლელად ჩაგვერთო ნაშრომში. გთავაზობთ ისტორიის ფურცლებს რათა დღევანდელობამაც „ყური ათხოვოს „ გაითავისოს და გაითვალისწინოს.

წმინდა ილია მართალმა ბრაძანა: ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, ყური რომ მათხოვოთ მადლობელი ვიქნები.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გულის გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულევი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებსა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი რჯული, მკლავძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონე მოგვდევს არც ხალხი გვაკლია, ეს ყველაფერი გვაქვს ეს მდიდარი პატარძალივით მორთული ქვეყნა, ეს ჯანიანი მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯე და ოფლის მღვრელი ,- მაშ რაღად ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფვაც ადვილი იყოს და ნაჯაფებიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ-ისა, რაც თვენსავე სიტყვით, თითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხეირიანად აამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს.

კაცს წინ მიუძღვება და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით - უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღვარს ცოდნა ჰქვია. უამისოდ დედამიწა თავის უხვ და უხარებელს გულს არ გადაგვიხსნის, ის უხვად არ მოგვახარებს რამდენადაც ჩვენთვის მობარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღისა მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცი დღის პატრონი, ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმით, რომ ისინი მკლავ-ძარღვით

ჩვენა გვჯობია? არა იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან „ ხერხი სჯობია რონესაო“- თქვენგანვე თქმულა და დიახ მართლაც ასეა.

ცოდნა ხომ ხერხია მაგრამ თითონ თავის-თავადაც სიმდიდრე არის მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ გადაუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია:

ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია. ღონიერი დაჭირთა-მძლევი ის, არის, ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლილი, მართლაც არის: კაცი სხვისი მარგეც უნდა იყოს და თავისთვისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესიან ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვთ და თავისთვისაც შემოაქვს. ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე კი არა, ურმის მკეთებელი უფრო მეტად ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება , ვიდრე უბრალო მუშა კაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს კლავითაც და ჯანითაც რათა კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ რომ ცოდნა თითონ, თავისი-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო შენ არ დაგაკლდება, თუ არ მოგემატება, ამ შემთხვევაში ცოდნ ანთებულ სანთელს ჰგავს: ერთ სანთელზედ, რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება და არც სინათლე, არ სიცოცხლე, პირიქით იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმისთანა ერთად დიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდე იმაში გავს ცოდნა რომ თუნდაც ცოტა ბჟუტავდეს, შორს სადმე ბნელში ქურდ პარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, სინათლე სჩანს ჰღვიძავთო და დაგვიანებულ მოყვარეს კი ახარებს, კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანოო.

სანთელს მარტო იმაში არ ჰგავს, რომ სანთელი როცა იქნება ჩაიწვის და გაქრება ხოლმე, ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა, მამიდან შვილზე გადადის, შვილიდამ შვილისშვილზედ, უფრო გადიდებული უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმითაა კიდევ კარგი, რომ იმან უფროს უმცროსი არ იცის როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, - ერთნაერად შეივედრებს, ერთნაერად შეიკედლებს, ერთნაერად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლხებსაც და ბუზმენტებით მორთულსა თავადსაც. ყველას ერთნაერად მოუხდება. ყველას ერთნაერად დაამშვნებეს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა. ახლა სად არის ეგ კარი ? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი? რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ეგრე უჭირს, გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა გზას მე გაჩვენებთო, თვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო ის კაცი მარტო თავისი თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელსა საქმეს და თავისი თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფეელში აკვანი დადგა ჩვენს გასაზრდელად, და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია, ის კაცია ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს ძიძები კიდევ მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

აი სად და ვისი ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან .აი ამ პატრა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე,ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარხმალია ადამიანისა, რომლსაც ცოდნა ჰქვიან, მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენ და საბედნიეროდ.ცოდნა ბევრნაირია, ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს-სად რა სიმდიდრე ძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.მაშ გაუმარჯოს ხალხო ამ სკოლას ამ ცოდნის აკვანს გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვანის დამდგმელსა , გაუმარჯოს, ამ სკოლის

ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა გასაზრდელად გასაღვიძებლად.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ იტყვით თქვენი გამარჯვებისა იყოს მეც გავათავევე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით „თქვენი გამარჯვებისა იყოს“ .

§2. პროფესიული განათლება მე-19 საუკუნეში

მეფის მთავრობა ბევრ მიუღებელ სააუგო საქმეესთან ერთად ხანდახან სიკეთის გაკეთებასაც ცდილობდა, ამ მხვრივ გარკვეულ როლს ასრულებდა მეფის მთავრობის წაემომამდგენელთა პროგესული შეხედულებანი და ქვეყანაზ ზრუნვის სურვილი. ამ მიმართულებით დიდი იყო ქართველ მართველთა გავლენა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის მეურნეობის განვითარებაზე ყურადღების გაძლიერება შესამჩნევია, რასაც კვალიფიციური კადრები სჭირდებოდა.

1828 წელს აღ. საქართველოს გენერალ გუბერნატორი სიპიაგინი ფინანსთა მინისტრ კარნირის წინაშე აყენებდა საკითხს, საქართველოში სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით (ევროპული მიწათ მოქმედების შეიმოღებას) და (სანიმუშო ფერმერების დაარსების) შესახებ. მას საჭიროდ მიაჩნდა ნიჭიერ გლეხებს მებაღეობა ესწავლათ და ამ გზით მებარეობის მეცნიერება გაევრცელებინათ მთელ ამ მხარეში (საქართველოში) სიპიაგინს განზრახული ქონდა „სახაზინო უწყების გლეხებიდან გაეგზავნა მოსკოვის სამიწათმოქმედო სკოლაში სწავლის მისაღებად, ხოლო ადგილობრივად ტექნიკური კადრების მომზადებისთვის სიპიაგინის სურდა „თბილისშისკოლა-სახელოსნოს დაარსება, სახაზინო გლეხთა შვილებს უფასოდ, ხოლო მემამულეთა შვილებს კი ზომიერი ფასით უნდა ესწავლათორი ხელობა: საზეინკლო და სადურგლო. სიპიაგინმა ამ სკოლის წესდების პროექტიც კი შეადგინა.

კანკრინმა ამავე წელს მოიწონა სიპიაგინის განზრახვა და მიანდო მას თბილისში სახელოსნო სკოლის მოწყობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ხარჯთაღრიცხვა ძალიან მძიმე აღმოჩნდა ხაზინისთვის და სიპიაგინის განძრახული ვერ შესრულდა.

1829 წელს საქართველოში აბრეშუმის მრეწველობის გზასთან დაკავშირებით კანკრინი თავის წერილში საქართველოს მთავარმართებელ პასკევიჩისადმი, საჭიროდ თვლიდა თბილისის აბრაშუმსახვევ ქარხანასთან დაეარსებინა, აბრაშუმსახვევი სასწავლებელი.კანკრინი პირდებოდა მას, რომ მასწავლებლებს ამ სასაწავლებლისთვის გაუგზავნიდა იმავე წელს პეტერბურგში დაარსებული ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან. მაგრამ 1834 წელს როგორც ჩანს ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულებთან თბილისში მასწავლებლად წამომსვლელი არავინ არმოჩნდა. რის გამოც კანკრინი იმავე წელს თხოვდა საქართველოს მთავარმართებ-ელს საქართველოდან 4 ყმაწვილი გაეგზავნა აღნიშნულ ინსტიტუტში მათგან თბილისის აბრეშუმისსახვევი მასწავლებელთა მოსამზადებლად.

1841 წელს სენატორ ისლის კომისიამ სცნო აუცილებლად გლეხთა ბავშვებისთვის მოწყობილიყო პრაქტიკული სამიწათმოქმედო სკოლა მიწათმოქმედების, მებაღეობის და მესაქონლეობის ფერმით ამ სკოლის შენახვა ეკისრებოდა 1832 წელს დაარსებულ „სამიწათმოქმედო და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებას.

ახორციელებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მრეწვე-ლობის კვალიფიციური მუშაკების მოსაზადებლად, გამოჰქონდათ დადგენილებები სპეციალური სკოლის გახსნის შესახებ, მაგრამ ამ ღონისძიებათა და გადაწყვეტი-ლებათაგან ბევრი ან სრულრბით არ ხორციელდება, ანდა ათეული წლების შემდეგ ტექნიკურ.

სასაწავლებელთა გახსნიდან სპეციალისტთა შემომზადების საქმის მოუგვარ-ებლობა ძალიან აფერხებდა ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზრდას, რასაც გადაჭრით მოითხოვდა ამ მხარეში კაპიტალისტური წარმოების განვით-არების აუცილებლობა, ორმოციან წლებში განსაკუთრებით იგრძნობოდა მიწათა მოწყობისა და სამიჯნო მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების საჭიროება.

1840 წლისთვის თბილისში არსებული ტოპოგრაფების სკოლა ვერ აკმაყოფილ-ებდა ასეთი მუშაკების მომზადების ამოცანას .ამიტომ 1846 წელს გადაწყვიტეს ცალკე კავკასიის ტოპოგრაფთა №3 როტასთან დაარსბული „კავკასიის სამიჯნო სკოლა“ დებულება ამ სკოლისა დამტკიცებული იქნა 1846 წელს, მაგრამ ფაქტიურად ის გაიხსნა 1847 წლის 17 მარტს, კავკასიის სამიჯნო სკოლა ამზადებდა მომიჯნეებს და მიწის მზომელთან თანამშრომლებს. ის გათვალისწინებული იყო 50 კაცისთვის ადგილობრივი მოსახლეობიდან. სკოლაში შესასვლელად საჭირო ოყო რუსული წერა-კითხვის ცოდნა , რუსული გრამატიკის საწყისები და ქრისტიან ბავშვთათვის, დამატებითი კატეხიზმის ცოდნა. სწავლის ვადა განსაზღვრული იყო ოთხი წლით. სასწავლო გეგმაში (1855 წლისთვის) შედიოდა საღვთო რჯული, რუსული სიტყიერება, რუსეთის ისტორია, ქართული ენა, თათრული, (აზეირბაიჯანული) ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია, ლოგარითმების თორია, ზოგადი გეოგრაფია, მათემატიკური გეოგრაფია, გეოდეზია, სამიჯნომკანონები, კალიგრაფია, ხატვა და ხაზვა, პრაქტიკული გადაღებანი და სამიჯნო საქმე. სამხედრო განათლება და ცეკვები. მოწაფეები ცხოვრობდნენ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე და სწავლის დამთავრების შემდეგ ვალდებულები იყვნენ ემსახურათ კავკასიაში არანკლებ 10 წლისა .

1849 წელს თბილისის სამიჯნო სკოლის 50 მოწაფიდან ეროვნების მიხედვით იყო: რუსი-19, ქართველი-16, სომეხი-13, გერმანელი-2. სკოლის შესანახად ყოველ წლიუ-რად იხარჯებოდა 7600 მანეთი. 1854 წელს სკოლა გადავიდა კავკასიის ოლქის მართ-ველობაში.

სკოლაში ჩარიცხვის მთავრი მოთხოვნა როგორც ეროვნულის ასევე რუსული ენის ცოდნაც იყო საჭირო ეს კი მხოლოდ ძალიან მცირე ნაეილს შეეძლო. 1897 წლის მოსახლეობის აღწერიდან აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 76% წერა-კიტხვის უცოდინარი იყო.

§3.პროფესიული ტექნიკუმების მუშაობა წერა-კითხვს უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის

მე-20 საუკუნის დასაწყისში საშუალო სპეციალური განათლების განვითარებაზე ზრუნვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებად წოდებულმა მთავრობამ, მაგრამ ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებად იქცა წერა-კითხვის უცოდინარობა, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ. 1897 მოსახლეობის აღწერით 76% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მონაცემები გაცილებით ცუდი იქნებოდა რომ არა ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა წინა საუკუნეში. ეს თემა ცალკე კვლევის საგანია. ავღვნიშნავთ რომ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია დღეისათვის მსოფლიო აქტუალური პრობლემა.

2015 წლის სტატისტიკური მონაცემებით გაწეული დიდი სამუშაობეის მიუხედავად სკოლის გარეთ დარჩენილა ან შეზღუდული აქვს დაწყებითი განათლების მიღება 57 მილიონ ბავშვს. დასახულია მოქმედების ჩარჩო 2030 წლამდე შესასრულებლად, რომელიც მოიცავს წერა-კითხვის ლიკვიდაციისთვის ახალი გზების და ფორმების მოძიებას და განხორციელებას.

როგორც აღვნიშნეთ, წერა-კითხვის გავრცელებისათვის მოძრაობა საქართველოში დაიწყო მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იგი გაგრძელდა „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვოდაციის“ მიმართულებით და თვალსაჩინოთ წამატებული შედეგი მოიტანა 1970 წლისთვის წერა-კითხვის უცოდინარი არ აღრიცხულა.

შეიძლება ითქვას რომ წერა-კითხვის ლიკვიდაციისთვის მოძრაობამ საქართვ-ელოში მსოფლიო გლობალური პრობლემის წარმოქნს და მოძრაობას სასკოლო განათლება ყველა ბავშვისთვის ორი საუკუნით გაუსწრო და მოკლე დროში მოიპოვა შედეგები. არსებობს წარმატებული გამოცდილება, რომელიც შეიძლება გაიზიაროს მსოფლიომ სამწუხაროდ ამ მიმართულებით ჩვენს პედაგოგიურ მეცნიერებაში კვლევა არ არის.

ნაშრომებზე მუშაობისას წყაროების სამაგიდო კვლევით მოვიპოვეთ მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები წერა-კითხვის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ინფორმაციის ნაშრომში ჩართვა საჭიროდ მივიჩნიეთ .

საშუალო სპეციალური განათლების განვითარებისთვის საჭირო იყო იმ დიდი წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების დაძლევა, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინრობა ქმნიდა.ფაბრიკების და ქარხნების მშრომელთა ხელში გადასვლა სოფლის მეურნეობის კოპერირება საკმარისი არ აღმოჩნდა, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გახდა წერა-კითხვის ლიკვიდაცია.

საქართველოს სსრ. განათლების სახალხო კომისარიატთან 1921 წლის 1 აპრილს შეიქმანა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაცო საგანგებო კომისია.

წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1922 წელს. ამ დიდ სახელმწიფოებრივ დ პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეში ფართოდ სხვასთან ერთად ჩაებნენ ტექნიკუმები და საშუალო სპეციალური სკოლები. გაისმოდა მოწოდებები:

- ✓ „ რომ გავიმარჯვოთ ბრძოლაში, მარტო ვაუკაცობა არ კმარა, საჭიროა ცოდნა და უმეცრების ლიკვიდაცია“
- ✓ დღევანდელი დღის ლოზუნგია: „ძირს წერა-კითხვის უცოდინრობა“
- ✓ როდესაც ჩვენ წერა-კითხვას შევისწავლით, ჩვენ შეგვეძლება შევიარაღდეთ ცოდნით, რაც საჭიროა აღმშენებლობით საქმიანობაში.
- ✓ „ცოდნა არის ძლევამოსილი ჩირაღდანი გამარჯვებისა“

ეს ლოზუნგები, როგორც საპირველმაისო მოწოდებანი გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე 1922 წლის 24 აპრილს.

ტექნიკუმებმა უაღრესად ენერგიული მუშაობა გასწიეს წერა-კითხვის უცოდნირობის სალიკვიდაციოთ. ტექნიკუმებთან გაიხსნა წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები და კურსები მათ დაევალათ განეხორციელებინათ ღონისძიებები წერა-კითხვის სკოლების მსმენელთა კონტიგენტის შენსანარჩუნებლად. ტექნიკუმების მასწავლებელთა უმრავლესობა მუშაობდა. მოსწავლეები იგზავნებოდნენ სოფლებში წერა-კითხვის მასწავლებლებად. ტექნიკუმების მოსწავლეებს ევალებოდათ არდადეგების პერიოდში შეესწავლებინათ წერა-კითხვა ქალაქის და სოფლის მოსახლეობისათვის

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოევლინათ წერა-კითხვის უცოდინრები და ეცნობებინათ ამის შესახებ დანიშნულებისამებრ. ტექნიკუმების ადმინისტრაციები სისტემატურად იხილავდნენ საკითხს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის საქმეში მაგალითად: თელავის პედაგოგიურმა ტექნიკუმმა 1928-29 სასწავლ წლის დამდეგს შეიმუშავა ტექნიკუმის სამუშაო გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა , რომ თითოეულ მოსწავლეს ზაფხულის განმავლობაში წერა-კითხვა შეესწავლებინა 5-6 კაცისთვის. არდადეგების შემდეგ მოსწავლეები ადგენდნენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. ანალოგიური მუშაობა წარმოებდა სხვ ატექნიკუმებშიც,

მოსწავლეები აგროვებდნენ თანხებს წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაიო სკოლებისთვის სასწავლო ნივთების შესაძენად, ამზადებდნენ შეშას სკოლებისთვის.

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის გაშლილი ბრძოლის გრანდიოზულმა მაშტაბმა და საყოველთაო მასობრივმა ხასიათმა უზრუნველყო მისი წარმატებით დაგვირგვინება, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები.

საქართველოს მოსახლეობის (9დან-49წლამდე) წიგნიერება (პროცენტებში)

წლები	ორივე სქესი	მათ შორის	
		კაცები	ქალები
1)1897	23,6	29.1	17,1
2) 1926	55,0	61,2	44,6
3)1939	89,3	93,4	85,2
4)1959	99,0	99,4	98,6
5)1970	99,9	99,9	99,9

§ 4.საშუალო და პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკითხის განხილვისას აღინიშნებოდა პროფესილი განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და დასახულ გეგმაში ყურადღება გადატანილიყო ტექნიკურ და პროფესიულ განვითარებაზე მაგალითად განსახკომის ანგარიშში (1920-1921 წლწბში)აღნიშნულია, რომ შრომის სკოლებს ჯერ კიდევ არა აქვს კავშირი წარმოებასთან, ვერ ამზადებს ცხოვრებისა და აღმშენებლობისათვის ახალგაზრდებს, ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ განვითარებას და ა.შ.

ამ პრობლემის აღმოფხვრისთვის დაიწყო მუშაობა სკოლების I და II საფეხურის რეორგანიზაციაზე. ეს პროცესი 1930-1931 სასწავლო წელს დასრულდა.

მეორე საფეხურის რეორგანიზაცია ითვალისწინებდა სოფელში სოფლის ახალგაზრდობისთვის შვიდწლიანი სკოლის შექმნას, ხოლო ქალაქად შვიდწლიანი სკოლის საქარხნი-საფაბრიკო შვიდწლედებად გარდაქმნას. რეორგანიზაციის შემდეგ გლეხთა-ახალგაზრდობის სკოლები გადაკეთდა შვიდწლიან სკოლებად, ქალაქად შიქმნა შვიდწლიანი სკოლებიც და საქრხნო-საფაბრიკო სკოლებიც, რომლებიც პროფესიონალიზაციის მიმართულებით იმოქმედებდა.

წყაროების ანალიზით გავარკვიეთ, რომ პროფტექნიკური განათლება ვითარდება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცების კვალობაზე,სამეურნეო კულტურული ძვრებისა და იმ მოთხოვნილებათა შესაბამისად რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება აყენებდა.

პროფტექნიკური განათლების რადიკალური რეფორმის დიდი მაშტაბისა და სირთულის გამო განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში შიქმნა პროფესიულ ტექნიკური განათლების მთავარი მმართველობა.

(განათლების მთავარმმართველობა“)რომელიც აერთანებდა და ხემძღვანელობდა პედაგოგიური განათლების, სოცილ-ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიულ-ტექნიკური, სამკურნალო, სამხატვრო, მუშათა ფაკულტეტს, მუშათა და გლეხთა შრის პროფტექნიკური განათლების სექტორებს.

პროფგანათლების მთავარმმართველობა როგორც აღვნიშნეთ, განსახკომის ხელმძღვანელობით ენერგიულად შეუდგა საშუალო სპეციალური განათლების სისტემის გარდაქმნას. მას ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ საშუალო სპეციალური განათლების სისტემის გარდაქმნა უნდა განხორციელებულიყო ცხოვრების სინამდვილესთან შეფარდებით,მათთან კავშირში.

აფასებდა რა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალს, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს და სახალხო მეურნეობის დარგების სპეციალიზაციას, პროფგანათლების მთავარმმართველობა თავის ოფიციალურ ანგარიშებს და მოხსენებებში, აღნიშნავდა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების საკურორტო საქმის და სხვა. გაფართოების ფართო შსაძლებლობები არსებოსბს. საქართველო მდიდარია თეთრი ნახშირით, ჭიათურის მანგანეცით, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირით, ტყის მასივებით, განვითარების ფართო პერსპექტივები ისახება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში როგორიცაა:მეველეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვა. მსოფლიო ომიანობის წყალობით სახე-ლმწიფო საშინელ ჩიხშია მოქცეული და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოდ ისეთ სკოლას, რომელიც გადაუშლის წინ ხალხს საშუალებათა მთელ რიგს, თავი დაღწიოს ეკონომიკურად დაქვეთებსა და ამ სკოლის საშუალებით შეიძინოს ისეთი ცოდნა, რომერლიც მას დაეხმარება ბუნებასთან ბრძოლაში რათა შეიძინოს მეტი დოვლათი.მეტს გამორჩეს ქვეყნის სისმდიდრითვის საკეთილდღეოდ

ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებას მათ გამოყენებას სახალხო მეურნრობის შემდგომ განვითარებას, უწინარეს ყოვლისა ესაჭიროებოდა ბევრი სპეციალისტი, რომელთა მომზადების საქმეს მოჰკიდა ხელი პროფგანათლების მთავარმმართველობამ.

სასკოლო რეფორმის კომისიასთან არსებული პროფესიული განათლების ქვეკომი-სიის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ.“ბუნებრი სიმდიდრთა რაციონალური გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური განათლებით. კომისიამ მიზანშეწონილად თვლის საქართველოში გავრცელდეს და დაინერგოს შემდეგი სპეციალობათა სწავლება: სასოფლო სამეურნეო, მექანიკური, ელექტროტექნიკური ტიპის სასწავლებლის გახსნა, რადგან იგი შედარებით ეკონომიურია და ნაკლებ პედაგოგიურ ძალებს მოითხოვს. პროფგანათლების პროგრამის მიხედვით ყველეზე არსებითი და

გადამწყვეტი ის იყო, რომ საშუალო სპეციალური განათლება გაშლილიყო და განვითარებულიყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ზოგადი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და სხვა დარგების რეალურ მოთხოვნილებათა საფუძველზე მათთან კავშირში.

§5. პროფესიული ტექნკუმები კადრების მოსამზადებლად

საშუალო ტექნიკური კადრების ნაკლებობა მრეწველობის განვითარებასთან ერთად მკაფიოდ იგრძნობოდა.

ტექნოკური კადრების მომზადებას ფართო ქსელი სჭირდებოდა, თავდაპირველად, რასაც მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით ხსნიდნენ, იყო სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის კადრების მომზადება.

საქართველო უმთვრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, მის მკვიდრთა კეთილდღეობა და ეკონომიური ბაზის განმტკიცება ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობაზეა დაყრდნობილი, ვინაიდან ინდუსტრია და მრეწველობა ნაკლებად განვითარებული და ვიწრო ფარგლებში იყო მოქცეული.

აქეადან გამომდინარე განვითარების მეტი შესაძლებლობა მიეცა სასოფლო სამეურნეო და პედაგოგიურ ტექნიკუმებს, ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ განათლებას, ის ახლო მომავლის მთავარ ამოცანად იქნა მიჩნეული,რადგანაც „საქართველო ცნობილია მრავალნაირი სიმდიდრით, რაც დიდსა და ფართო პერსპექტივებს იძლევა მომავალში მუშაობის გასაგრძელებლად. ამ მიმართულებით. იგი ამისთვის მოითხოვს დიდძალ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგის ინჟინერ მექანიკოსებს აღმშენებლებს, ქიმიკოსებს და სხვა.

1925 წლის დასაწყისიდან პროფგანათლების მთავარმმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსთან მოეწყო სამეცნიერო ტექნიკური სექცია. რომრლიც აერთიანებდა 4 ქვესექციას : ინდუსტრიულს, სასოფლო-სამეურნეოს, სამრეწველო-ეკონომიურს და მუშათა განათლებისას.

სექციამ საბოლოოდ დაადგინა იმ სასწავლებლების ტიპები და რაოდენობა, რომლებიც უნდა გაერთიანებულიყო პროფგანათლების სასაწავლებლის საერთო ქსელში და შუდგა სპეცტექნიკუმების სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენას .

1925 წლის მაის-ივნისი სექციამ მოანდომა პროგრამების შედგენას, დამუშავდა 80-ზე მეტი პროგრამა. მოწოწნებულ იქნა დასაბეჭდად ტექნიკურ დისციპლინებში შემდეგი სახელმძღვანელოები: ინჟ. ა. გულისაშვილი- „მანქანათა ნაწილები“ ინჟ. ვ. კაკაბაძე- „ელექტრო ტექნიკის დაწყებითი კურსი“ და სხვა, ექვსი სახელმძღვანელო.

ჩატარდა არსებილი სასწავლებლების რეორგანიზაცია, დაიხურა კერძო სასაწავლების უმრავლესობაა, აიკრძალა მომავალში მათი გახსნა. დაწყებით სასწავლებლებსა და გიმნაზიებს 4 დაწყებითი კლასი შეუერთდა შრომის სკოლის პირველ საფეხურს.

4 მაღალი კლასიდან (5-8) მოეწყო ჰუმანიტარული ტექნიკუმები, ამრიგად, მათი შეერთება დაჯგუფების შედეგად 1921-1922 წლებშითბილისში ჩამოყალიბდა 29 ტექნიკუმი აქედან:

პედაგოგიური-1	სპეციალურ ქიმიური-2
სასოფლო სამეურნეო-1	პოლიტექნიკური-1
ჰუმანიტარული-24	

პროვინციებში ტექნიკუმების გახსნა გრძელდებოდა. ჩამოყალიბდა 57 ტექნიკუმი: აქეადნ პედაგოგიური-8- ხონის, ბოდბის, ცხინვალის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ახალსენაკის, გორისა და დიდი ჯიხაიშის .

სასოფლო სამეურნეო -12-ქუთაისის, ლანჩხუთის, ჭრებალოს, საჩხერის, ხეთის, წალენჯიხის, სურამის, ცხინვალის, იმერეთის, წინამძღვართ კარისა და თანეთის.

ინდუსტრიულ-ტექნიკური-1-ხონში. გარდა ამისა გაიხსნა 36 ჰუმანიტარული ტექნიკუმები. ტექნიკუმების საერთო რიცხვი საქართველოში 1926 წლის ბოლოსთვის შეიადგენს 86-ს.

თბილისის ტექნიკუმებში სწავლა შემდეგ ენებზე მიმდინარეობდა:ქართულ ენაზე-4 ტექნიკუმში, ქართულ-რუსულ ენებზე-9, რუსულ ენაზე-10, სომხურ ენაზე-4, გერმანულ ენაზე-1, ფრანგულ ენაზე-1 ტექნიკუმში. ამასთან ქართული ენა, როგორც სახელმწიფო

ენა, სავალდებულო სასწავლო საგნად იქნა შემოღებული ყველა არაქართულ სასწავლებელში.

აღსანიშნავია რომ, 1930-31 სასწავლო წელს 137 ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებელი არსებობდა. აქედან მრეწველობისა და მშენებლობის დარგში 22-ტექნიკუმი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის-5 ტექნიკუმი. განათლების სახალხო კომისარიატის სისტემიდან საუწყებო დაქვემდებარებაში ტექნიკუმის გადასვლასთან დაკავშირებით შეიცვალა ხელმძღვანელობის მეთოდები და სტრ-უქტურა. საშუალო სპეციალური სასწავლებლის, მათ შორის ტექნიკური სასწავლებლის, ორგანიზაციული, მეთოდური და ფინანსური ხელმძღვანელობა დაეკისრა სამინისტროებს და უწყებებს და მათ სასწავლო დაწსებულებებსა და კად-რების მომზადების განყოფილებებს, აღნიშნული განყოფილებები ადგენდნენ ტექნი-კუმების საწავლო გეგმებს და პროგრამებს.

ტექნიკუმების ფინანსირება წარმოებდა ადგილობრივი რესურსებიდან.

ტქნიკური განათლების შემდგომი განმტკიცებისათვის ძლიერდება 1928 წლიდან ახალი სპეციალისტების მომზადების გაუმჯობებსება ახალ შინაარსს იძენს. აღიარებულ იქნა ტექნიკუმების არასაკმაო რაოდენობა, ინჟინერ-ტექნიკური კადრების სამეცნიერო-ტექნიკური მომზადების დაბალ დონეზე , წარმოებაში მათ ი სუსტად ჩაბმის შესახებ განხილულ იქნა მსხვილ მრეწველობაში ინჟნერ-ტექნიკური პერსონალის 2-ჯერ გაზრდას პირველი ხუთწლედის ბოლოსთვის, ხოლო მეორე ხუთწლედისთვის მრეწველობის მთლიანად დაკმაყოფილებას ინჟინერ-ტექნიკური კადრებით იმ ანგარიშთ, რომ ინჟინერების და ტექნიკოსების რაოდენობრივი შფარდება ყოფილიყო არანაკლებ 2/3-ზე.

1928-29 სასწავლონლიდან ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ იყო ტექნიკური განათლების სისტემის უნიფიცირება. 1929 წელი მიჩნეულია როგორც დიადი გარდატეხის წელი. იგი აღინიშნა თვალსაჩინო მიღწევებით მრეწველობაში და პირველი წარმატებით ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის საკოლმეურნეო მეურნეობით შეცვლის გზაზე. ასეთ ვითარებაში მთავარი იყო, რომ სახალხო მეურნეობა და კულტურული მშენებლობა უზრუნველყოფილიყო კადრებით. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში კადრების პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა

ენიჭებოდა, გაძლიერდა მუშაობა ახალი მიჯნის ასაღებად, ტექნიკური კადრების მომზადების ფართო პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებთან შედარებით ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადების ტემპების ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის .დადგა საკითხი ტექნიკუმების საგანმანათლებლო საქმიანიბის გაუმჯობესებისთვის. საქმე ტექნიკუმის რაოდენობაში კი არ არის, აღნიშნავდნენ პროფგანათლების მმართველობაში, არამედ პროდუქციის ხარისხში რომელშც იგულისხმებოდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, რომელიც ნაკლებად გვაკმაყოფილებსო, რომლის მიზეზად შემდეგი ნაკლოვანებები სახელდებოდა: 1) წარმოებასთან კავშრის უქონლობა. 2)სასწავლო შენობის უვარგისობა. 3)ტექნიკუმების სათანადო მოუწყობლობა (კაბინეტი-ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებით და სხვა) 4)პედპერსონსლის მოუმზადებლობა(განსაკუთრებით სპეც საგნებში). 5)სახელმძვანელოების უქონლობა. 6)მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა(ამ მიზნით 1 მასწავლებელი რამდენიმე სასწავლებელში მუშაობდა). 7)საწარმო პრაქტიკის არადამაკმაყოფილებლად დაყენება.ამ და სხვა ნაკლოვანებებისაგან თავის დასაღწევად პროფგანათლების მმართველობა თვლიდა :1)ტექნიკუმების პროგრამების ახლებურად გადამუშავება შედგენას 2)სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმის მოგვარებას 3) საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესებას 4)ტექნიკუმები გახსნინიყო მაშინ, როცა შეირჩეოდა, შესაფერისი სასკოლო შენობა, გამოინახებოდა საშუალებები 5)ახლად მისაღებ პირთა მიმართ მოთხოვნილებების ამაღლებას 6)მოსწავლეთა მატერიალური პირობების ამაღლებას, 7) სატარიფო განაკვეთის გაზრდას.

თავი მეორე

პროფესიული ტექნიკური და განათლება აჭარაში

§6. აჭარაში პროფესიული განათლების შესახებ კვლევების ანალიზი

პროფესიული ტექნიკური განათლებისა და საშუალო სპეციალური განათლების შესახებ საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული თეიმურაზ კომახიძეს, კვლევა ზოგად ინფორმაციას მოიცავს და ძირითადად სტატისტიკური მონაცემების ანალიიზია მოცემული. წარმოგიდგენთ ამ მასალების მიმოხილვას.

XIX საუკუნეში ბათუმში მრეწველობის მოცულობის გაზრდამ დღის წესრიგში დააყენა ტექნიკური კადრების მომზადებისა და საამისოდ ტექნიკური სასწავლებლების გახსნის აუცილებლობა. ქალაქის თვითმმართველობამ განიხილა ეს საკითხი და მიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგრამ 1889 წლის აგვისტოში კავკასიის სასწაცლო ოკრუგის რწმუნებულმა იანკოვსკიმ აცნობა ქალაქის თავს, რომ რუსეთის სახალხო განათლების მინისტრმა (დელიანოვი) შეცვალა გადაწყვეტილება და თანხმობა განაცხადა 1889-1890 სასწავლო წელს ბათუმში გახსნილიყო სახელოსნო სასწავლებელი სამი წლის სწავლების ვადით. ქალაქის ხელმძღვანელობა კმაყოფილებით შეხვდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რადგან 1881 წელს ბათუმში გახნილ სამოქალაქო სკოლასთან არსებულ სადურგლო და სახარატო სახელოსნოებში მომზადებული კადრები ვერ აკმაყოფილებდა მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

1889 წელს ბათუმში დაარსდა სამ კლასიანი ვაჟთა პროფესიული სასწავლებელი. სასწავლებელს დაეთმო ორ სართულიანი შენობა რუსთაველისა და 26 მაისის ქუჩების კვეთაში, რომელიც აგებული იყო საქალაქო 6- კლასიანი სასწავლებლისათვის. სახელოსნო სასწავლებელში ღებულობენ დაწყებითი სკოლების კურს-დამთავრებულებს.

თავდაპირველად სასწავლებელში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინაერეობდა, მაგრამ 1901 წლიდან სწავლება რუსულ ენაზე შემოიღეს. სასწავლებელში მოსწავ-ლეები ეუფლებოდნენ სადურგლო, სახარატო, საზეინკლო და საჩამომსხმელო საქმეს.

შემდეგ სასწავლებელს შეემატა სასოფლო-სამეურნეო, აბრეშუმსახვევი და ხალიჩების საქსოვი განყოფილებები.

1921 წელს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა ბათ-უმის ინდუსტრიული ტექნიკუმი.

1940 წლიდან ბათუმში კვლავ გაანახლა ფუნქციონირება სახელოსნო სასწავლ-ებელმა.

1964-1965 წლიდან ბათუმის პირველ პროფტექნიკურ სასწავლებელში იხსნება გემის პირველი კლასის მოტორისტისა და პირველი კლასის მატროსის განყოფილებები. 1968 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის შემდეგ, სასწავლებელში მნიშვნელოვნად გაიზარდა კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვაო სპეციალობის განხრით

1967-1968 წლის სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლებელი ახალი ინვეტარით, თვალსაჩინო და ტქენი,კური ინვეტარით აღიჭურვა. მაღალ იდეურ და ესტეთიურ დონეზე მოეწყო კალატოზ-მემონტაჟეების, მეალმატრუე -ელექტრო შემდუღებლებეის, შემლესავ-მომპირკეთებლების , სანტექნიკოსების, ესთეთიკის ისტორიისა და სამხედრო სწავლების კაბინეტებ. შენობის პირველ სართულზე განლაგდა ახალი დაზგა დანადგარებით, ავტოგენური და ელექტრო შედუღების აპარატებით, ავტომობილებისა და სანტექნიკური კვანძების ჭრიალებით აღჭურვილი, დურგალ მეავეჯეების, ელექტროშემდუღებლების, სანტექნიკოსებისა და ავტოზეინკლების სახელოსნოები. ამავე სართულზე რამდენიმე ოთახის გაერთიანებით მოეწყო სააქტო დარბაზი 200 ადგილზე, კეთილმოეწყო ეზო.

სასწავლებლის მოსწავლეები ყველა მშენებარე ობოიექტზე გადიოდნენ აქტიურ სტაჟირებას და პარალელურად ინდივიდუალურად აშენებდნენ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს დღითიდღე იზრდებოდა სასწავლებლის ავტორიტეტი, სწავლის ყველა მსურველს სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა, რადგან არსებული სასწავლო-მატერიალური ბაზა სუსტი იყო. არადა მშენებლობის მასშტაბი თანდათან ფართოვდებოდა, მოთხოვნილება კვალიფიციურ მშენებლებზე მატულობდა, დღის წესრიგში ახალი სასწავლო კომპლექსის მშენებლობის საკითხი დადგა და მართლაც დიდი ძალისხმევის შემდეგ, 1974 წელს ლეონიძის ქუჩაზე აშენდა სასწავლო კორპუსი 1300 მოსწავლეზე. და საერთო საცხოვრებლი 450 ადგილზე. სასწავლებელი საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთდა. თუ მანამდე მოსწავლეები სასწავლებელში მხოლოდ პროფესიას ეუფლებოდნენ ახლა 8 კლას დამთავრებულნი, პროფესიასთან ერთად საშუალო განათლებასაც ღებულობდნენ.

1974 წელს სასწავლებლის ყოფილ სასწავლო-მატერიალურ ბაზაზე ლერ-მონტოვის ქუჩაზე სხვა დანიშნულების სპეციალისტების მოსამზადებლად შეიქმნა №76 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

70-იანი წლების შუა ხანებში სასწავლებელში 8 კლას დამთავრებულ კონტიგენტთან ერთად საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებიც სწავლობდნენ. ცხადია, მათი ასაკიც განსხვავებული იყო და სწავლებაც სულ სხვა პროგრამით ხორციელდებოდა. და აი 1977 წელს №44 სასწავლებლის ბაზაზე კიდევ ერთი, №105 სასწავლებელი გაიხსნა .ბათუმში მრეწველობის განვითარება მოითხოვდა სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე ბათუმში მოღვაწე ინჟინერთა ერთი ჯგუფის ინიციატივით საქართველოს მთავრობას გაეგზავნა წერილობითი თხოვნა, რათა ბათუმში გახსნილიყო ტექნიკუმის ტიპის საშუალო სპეციალური სასწავლებელი. იმ დროს დაძაბული მდგომარეობის გამო თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

1920 წლის ზაფხულში ბათუმიდან ინგლისელთა ჯარის გაყვანის შემდეგ, ბათუმის სახელოსნოს და დროებით სასწავლებლის ხელმძღვანელათ დაინიშნა პლატონ ბოჭორიშვილი, რომლის სამართლიანი მოთხოვნის საფუძველზე საქარველოს განათლების კომისარიატის ბრძანებით 1921 წლის შემოდგომაზე დაიხურა სახელოსნო

სასწავლებელი და მის მაგივრად დაარსდა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომლის პირველ დირექტორად დაინიშნა ცნობილი პროფკავშირელი მუშაკი პ.ნიკოლაევი იგი სულ მალე შეცვალა პლატონ ბოჭორიშვილმა. ტექნიკუმის გახსნასთან დაკავშირებით სახელოსნოს სასწავლებლის პირველი კურსი დაიხურა, ხოლო მეორე და მესამე კურსები შენარჩუნებული იქნა, რათა დარჩენილ მოსწავლეებს საშუალება ჰქონოდათ მიეღოთ სახელოსნო განათლება

1923 წლისთვის ტექნიკუმში ფუნქციონირებდა ორი სპეციალობა ელექტროტექნიკური და მექანიკური, სადაც სწავლობდა 140 მოსწავლე. 1926-27 სწასწავლო წლისთვის ტექნიკუმში დაემატა ელექტრომექანიკური და სამშენებლო სპეციალობები ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს ენიშნებოდათ საქარხნო ტექნიკოსის წოდება, თუმცა სასწავლო პროგრამა ისე ფართოდ იყო შედგენილი, რომ „საქარხნო ტექნიკოსებს“ პრაქტიკულად შეეძლოთ შეესრულებინათ მშენებლის, მექანიკოსის, ენეგეტიკოსისა და სხვა სამუშაო. 1921 წლის შემოდგომაზე ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი გადაკეთდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმად. 30-იანი წლების პირველ ნახევარში პ. ბოჭორიშვილი საცხოვრებლად გადადის თბილიში და ტექნიკუმის დირექტორად ინიშნება ი. კვაჭანტირაძე შემდეგ კი ცნობილი პედაგოგი გაბრიელ დობორჯგინიძე. ტექნიკუმს ჰყავდა მაღალ კვალიფიციური ნიჭიერი, პედაგოგიური კოლექტივი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირპობა, რომ ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი არამც თუ საქართველოში არამედ მის საზღვრებს გარეთაც საშაუალო ტექნიკურ სასწავლებლებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ტექნიკუმის ღვაწლმოსილ პედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა: ვ. ვლადიკოვი, ს, სხუსკივაძე, ა,გრიგოლია ნ.ლორთქიფანიძე, ვ. სციპიონი, ს. თოთიბაძე, პ. ნადირაშვილი, თ.თოხაძე, გ. პარასამოვი, ნ.მალაზონია და სხვება, რომმლებმაც სასწავლებლებს მოუპოვეს ის დიდი ავტორიტეტი რომლიტაც სარგებლობდა იგი მისი არსებობიოს მანძილზე.

1940 წელს ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაიხურა და მის ბაზაზე კვლავ განაახლა ფუნქციონირება სახელოსნო სასწაავლებელმა.

ტექნიკუმმა არსებობის 20 წლის მანძილზე გადამწყვეტი როლი შეასრულა მრეწეველობისსა და სამშენებლო საწარმოების და ორგანიზაციების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

1974 წლის 1 სექტემბრიდან კვლავ აღსდგა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომლის დირექტორად დაინიშნა თეიმურაზ კომახიძე. ტექნიკუმი 2006 წლამდე არსებობდა აგრძელებდა პირვანდელი ტექნიკუმის ტრადიციებს, 2000 წლიდან ტექნიკუმი იწოდებოდა ინდუსტრიულ კოლეჯად.

ბათუმი მისი ბუნებრივი უნიკალური ნავსადგურით საქართველო საზღვაო ნაოსნობის ცენტრია. მისი გემები. მისი გემები ყველა კონტინეტის ზღვებსა და ოკეანებს სერავენ. ძირითადად აქედან, ზღვით, იგზავნება ამიერკავკასიაში დამზადებული პროდუუქცია და პირიქით. ყოველივე ამან დღის წესრიში დააყენა საზღვაო კადრების მომზადების საკითხი. ამ მიზნით ბათუმში უნდა გახსნილიყო საზღვაოსნო სასწავლებელი.

საქართველოში პირველად საზღვაო კადრების მომზადებისთვის კლასი გაიხსნა ქ. ფოთში. 1880 წლის 21 ნოემბერს , რითაც საფუძველი ჩაეყარა საზღვაო განათლებას საქართველოში. 1918 წელს ფოთში არსებული კლასის ბაზაზე დაარსდა ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელი.

1921 წელს დაარსდა ბათუმის სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებელი, რომელიც სასწავლო-მატერიალური ბაზის უქონლობის გამო 1923 წელს გაუქმებული იქნა, ამის შემდეგ ბათუმის პორტთან შეიქმნა საღამოს სწავლების სანავსადგურო -სამშენებლო კურსები.

1929 წელს ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან ასრებული საღამოს სასწაველებლის სანავსადგურო -სამშენებლო კურსები რეორგანიზებული იქნა საღამოს სწავლების საზღვაოსნო ინდუსტრიულ ტექნიკუმად. ტექნიკუმი თავდაპირველად განთავსდა ბაქოს ქ.№8 (ახლანდელი გოგოებაშვილის ქ.) შვ იდკლასიანი სკოლის შენობაში 1929-30ს/წელს ტექნიკუმში სწავლობდა 40 ახალგაზრდა, ერთი წლის შემდეგ ტექნიკუმის პირველი დირექტორი იყო ე. ხუროძე.

1936 წელს ტექნიკუმი წარჩინებით დაამთავრა პ. ჯორბენაძემ, ბათუმის მგემტმშენებელიქარხნის ყოფილმა დირექტორმა, შემდგომში საქართველოს

საზღვაოსანაოსნოს პირველმა მთავარმა ინჟინერმა მის სახელს და საქმეებს ბათუმლები დღესაც დიდი რუდუნებით მოიხსენიებენ. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა საზღვაოსნო საქმიანობის ბევრი სპეციალისტი. მისი ერთერთერთი აღზდილია ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი ასლან ბოლქვაძეც, რომელიც თავის აღმზრდელ მასწავლებელს თვალებზე ცრემლმორეული მოიხსნიებს ხოლმე.

ამავე პერიოდში ტექნიკუმი დაამთავრა შ. სიმომონიშვილმა, ბათუმის პორტის ყოფილმა უფროსმა , ვ.ხანთაძემ -ილიჩოვსკის სპორტის დამაარსეებელმა და ამავე პორტის უფროსმა .

1929-33ასწავლო წლეებში ტექნიკუმში ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი ჰიდროტექნიკური სპეციალობა, სამშენებლო, სწავლის ხანგრძლივობით სამი წელი. ტექნიკუმში სპეციალისტების პირველი გამოშვება მოეწყო 1932 წელს.

1933წელს ტექნიკუმში იხსნება კიდევ ერთი, საექსპლუატაციო განყოფილება.

1934-35ს/წელს ბათუმის საღამოს სწავლების საზღვაოსნო ტექნიკუმი გადაკეთდა დღის სწავლების საზღვაოსნო სწავლების ტექნიკუმად. 1934 წელს აქ გაიხსნა გემთწამყვანი სპეციალობა, იჯარით აღებულ შენობაში, რაც საშუალებას არ იძლეოდა სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნისა. ყოველივე ამან განაპირობა ტექნიკუმისთვის საკუთარი აღნიშნული პერიოდისთვის ტექნიკუმი განლაგებული იყო ბათუმის №5 სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობის დაწყება, რომლის ორგანიზატროიც იყო ტექნიკუმის დირექტორი ს.ალანია. მშენებლობა მიმდინარეობდა ტექნიკუმის ძალებით. 1940 წლისთვის ბათუმის საზღვაოსნო ტექნიკუმმა მიიღო საკუთარი შენობა. თანდათანობით ტექნიკუმში იხსნებოდა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები, რაც განაპირპობებდა სწავლების ხარისხის ამაღლებას.

1943-47 სასწავლო წლებში ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა გამოცდილი ორგანიზატორი და მშენებელი მირიან უსიტაშვილი, რომლის დროსაც საგრძნობლად ამაღლდა ტექნიკუმის ავტორიტეტი გარკვეულ პერიოდში ტექნიკუმის დირექტორი იყო ი.ოგანაზოვი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება. მის დროს სასწავლებელს შეემატა ორსართულიანი სამანქანო დარბაზი, ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი, კლუბი და სასადილო.

1944 წლისთვის ტექნიკუმი გადაკეთდა სასწავლებლად აღნიშნული პერიოდიდან სასწავლებელმა გამოუშვა 5000-ზე მეტი სპეციალისტი რომელთა უმრავლესობა ჩამოყალიბდა როგორც საზღვაოსნო საქმიანობის წარჩინებული მუშაკი. განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიხვეჭეს სასწავლებლის კურს დამთავრებულებმა: ლევან, ანდრეი და ნიკოლოზ მხატვრებმა, დ.ანთაძემ, გ ბუაძემ ა.წუწუნავამ, გ.ჩხეიძემ, ა. ზენაიშვილმა, გ.ჩხაიძემ და სხვა მრავალმა, რომლებიც შემდგომში გახდნენ ცნობილი პიროვნებები გემის კაპიტნები.

სასწავლებემა განსაკუთრებით ჰპოვა აღორძინება მას შემდეგ, რაც ბათუმში 1967 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნო დაარსდა. მისი პირველი უფროსი იყო გამოჩენილი შორეული ნაოსნობის კაპიტანი ანატოლი კაჭარავა. ძირითადად მის პერიოდში ჩამოყალიბდა სანაოსნო და საქართველოში ერთ-ერთი მძლავრ სატრანსპორტო წარმოებად.

1976-1982 წლებში სასწავლებლის დირექტორად =მუშაობდა გამოცდილი მუშაკი ვოლტერ ჭანტურია . მისი უშუალო ინიციათივით სასწავლებელში შეიქმნა მუზეუმი.

1990 წლის სექტემბერში ბათუმის საზღვაო სასწავლებელში გაიხსნა ნოვორ-ოსიისკის უმაღლესი საინჟინრო საზღვაო სასწავლებლის დაუსწრებელი ფაკულტეტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, სადაც 1991-92 სასწავლო წელს 210 სტუდენტი სწავლობდა.1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაის №7732 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ბათუმის უმაღლესი სასწავლებელი, რონმელთანაც შეიქმნა სამხედრო კათედრა.პირველი წლისთვის სასწავლებელში მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 105 კაცი, მათ შორის დღის სწავლებაზე-60, ხოლო დაუსწრებელ სწავლებაზე -45 კაცის რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 თებერვალს №121 დადგენილების შესაბამისად იგი გადაკეთდა ბათუმის საზღვაო აკადემიად; ამის საფუძველს იძლეოდა შექმნილი სასწავლო-მატერიალური ბაზა და ამზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიონალიზმი. აკადემიის შექმნა დროული იყო,რადგან საქართველოს დამოუკიდებელ სახეკმწიფოდ გამოცხადება უახლოეს პერიოდში დააყენებდა საძღვაოსნო კადრების მომზადების საკითხს. ამ პერიოდში საზღვაო აკადემიას ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ორგანიზატორი ბიძინა ორაგველიძე.

XX საუკუნის დასაწყისში აჟარის ტერიტორიაზე ჩაის კულტურა გაშენებული იყო (998) ჰექტარზე, ციტრუსები კი (397) ჰექტარზე მას ძირითადად უვლიდნენ უცხო ქვეყნიდან ჩამოყვანილი სოეციალისტები. 1975 წლისთვის ჩაის პლანტაციას ეკავა 7084 ჰექტარი, ხოლო ციტრუსებს 7000 ჰექტარი.

სუბტროპიკული კულტურების განაშენიანებასა და მოსავლის ზრდას ესაჭირეობოდა სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრები, რამაც განაპირობა 1925 წელს მწვანე კონცხზე ბათუმის სამეურნეო ტექნიკუმის გახსნა.

ტექნიკუმი დაფუძნდა ყოფილი დაწყებითების სკოლის შენობაში. სასწავლებელს დამხმარე მეურნეობად გადასცეს 20 ჰექტრამდე ციტრუსებითა და ჩაის კულტურით გაშენებული მიწის ნაკვეთები, რომელიც ადრე რუსს მოხელეებს ეკუთვნოდა.

ტექნიკუმის პირველ დირექტორად დაინიშნა ს. ლორთქიფანიძე სასწავლებლის პედაგოგებად მოწვეულნი იყვნენ პედაგოგები საქართველოს რეგიონებიდან (თბილისი,გურია,იმერეთი, სამეგრელო) რომელთა უანგარო, თავგამოდებულმა შრომამ ტექნიკუმს შეუქმნა დიდი ავტორიტეტი, ესენი იყვნენ: მ,ღოღობერიძე, კ.აბაშიძე, გ.ცქიტიშვილი, ა.ჭანტურია, ლ.ჭანტურია, კ.კალანდარიშვილი,.ე.კაკაბაძე, ა, ჭირაქაძე და სხვები. განვლილ პერიოდშ სასწავლებლის დირექტორთა შორის შრომის ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ნიკოლოზ(ნური) ნიჟარაძე, რომელმაც ამ თანამდებობაზე 20 წელი დაჰყო და საგრძნობლად განამტკიცა სასწავლებლის სასწავლო-მატერიალური ბაზა.

70-იან წლებში ტექნიკუმისათვის აიგო კაპიტალური, თანამედროვე სასწავლო კორპუსი, 5- სართულიანი სთუდენთთა საერთო საცხოვრებელი და 24-ბინიანი მასწავლებელთა საცხოვრებელთა სახლი.

მანამდე კი, 1928 წელს, მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის პარალელურად აიგო ხის ორი კორპუსი, მოგვიანებით კი ორ სართულიანი კაპიტალური შენობა.

სპეციალისტების პირველი გამოშვება (15 კაცის რაოდენობით)იყო 1930 წელს. მომდევნო წლებში გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა. 1931 წელს ტექნიკუმი დაამთავრა- 22-მა, 1932 წელს-56-მა, 1933 წელს-108-მ, 1934წელს-110-მა და ა.შ.

სოფლის მეურნეობის განვითარებამ მოითხოვა უმარლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა. ამასტან დაკავშირებიტ ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაისვა საკითხი მწვანე კონცხზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბვაზაზე გახნისლიყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

1995 წელს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძის ძალისხმევით ბათუმის სამეურნეო ტექნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ბაზაზე გაიხსნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

პროფესიული ტექნიკუმები მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდნენ და ამზადებდებდნენ კადრებს იმდროისათვის საჭირო თითქმის ყველა დარგისათვის.

ერთ-ერთი განვიხილავთ ქ. ბათუმის N1 მრავალდარგობრივი, ყოფილი პროფტექნიკუმების კვლევის შედეგებიდან სტატისტიკურ მონაცემებს,კვლევა განახორ-ციელა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნანი გუგუნავამ და განათავსა წიგნში. N1 ბათუმის მრავალდარგობრივი სასწავლებელი (ყოფილი პროფტექნიკუმი) სპეციალობები: ელექტრო-გამომთვლელი, მანქანების ოპერატორი, ტელეგრაფისტი-ტელეპონისტი ინგლისური ენის ცოდნით, ავტომობილების ძრავების თბოაპარატურის ზეინკალშემკეთებელი ეკონომიკური საქმის ცოდნით, ფართო პროფილის მეჩარხე, ეკონომიკური საქმის ცოდნით, ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი,ავტომობილების ძრავების თბოაპარატურის ზეინკალ შემკეთებელი, ტექნოლოგიური დანადგარების ოპერატორი, ქიმიური ლაბორანტი კომპიუტერზე მუშაობის ცოდნით, ზეინკალი ავტომობილების ელექტრო მოწყობილობების შემკეთებელი, ბანკის მოლარე-კონტროლი, ავტომანქანების მექანიკოსი, მიკრო ბიოლოგიის ლაბორანტი, ეკოლოგ-ლაბორანტი, საპროტეზო და ორთოპედიის მექანიკოსი, ფართო პროფილის მშენებელი მართვის უფლებით,

N2 ბათუმის მრავალდარგობრივი ლიცეუმი სასწავლო ცპეციალობები:რადიო-ტელეაპარატურის შემკეთებელი, რადიო მექანიკოსი, მკერავი, მზარეული.

N3 ფარმაცევტული წარმოების მეაოარატე ფარმაცევტი, საბანკო საქმის ბუღალტერი, კბილის ტექნიკოსი, საქმეთა მმართველი.

N4 ქობულეთის სასწავლებელი. სამკერვალო წარმოების მოდელიორი, ფინანსისტ-ეკონომისტი, ფარმაცევტი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ავტოზეინკალი, კონდიტერი, სამკურნალო მცენარეების ლაბორანტი, მრეწველობის ბუღალტერი მენეჯერი, მზარეული.

მრავალდარგობრივმა პროფესიულმა სასწავლებელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფესიული კადრების მოსამზადებლად.

აჭარაში ვაჭრობის ტექნიკუმს საინტერესო ისტორია გააჩნია .სახელმწიო საარქივო დოკუმენტებში ტექნიკუმი ჯერ კიდევ 1928 წლიდან არის მოხსენებული.

1929 წელს უკვე ბათუმში ათწლეულების ბაზაზე არსებობდა კომერციული და ანგარიშმცოდნეობითი განხრა.

1930 წელს გაიხსნა სამრეწველო-ეკონომიკური და სამკურნალო ტექნიკუმი მისი დირექტორი იყო ირაკლი ფერაძე.

1931 წლის 15 იანვრიდან სამრეწველო-ეკონომიკურ და სამკურნალო ტექნიკუმს გამოეყო ეკონომიკური განხრა, მას კოოპერატიული ტექნიკუმი ეწოდა, რომელიც შემდგომ ცეკავშირის სისტემაში შევიდა. ამრიგად1931 წელი მიჩნეულია ტექნიკუმის დაარსების წლად.

1935 წელს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით საცალო ვაჭრობის ქსელი გადაეცა კოოპერაციას, ხოლო ქალაქად სახელმწიფო ვაჭრობას. ამასთან დაკავშირებით მოხდა სპეციალური ეკონომიკური რეორგანიზაცია, ბათუმის კოოპერაციული ტექნიკუმი გადაკეთდა ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმად. არსებობის სხვადასხვა პერიოდში ტექნიკუმს ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის ღვაწლმოსილი ადამიანები: აკაკი ფერაძე , აკაკი ჭეიშვილი, ნაზი გოგიტიძე, გრიშა გოლეთიანი, ვიქტოტ ლორათქიფანიძე და სხვა.

1933-34 წლებში შეემატა ახალი ნაკადი მასწავლებლებისა: სულეიმან კაიკაციშვილი, მარიამ ანდრიაძე, ივანე იოსელიანი, არმენ პატარაია.

ტქნიკუმს ჰქონდა შემდეგი სპეციალობები:

1)ვაჭრობის ორგანიზაცია და სასურსათო პროდუქტების საქონელთმცოდნეობა.

2)ვაჭრობის ორგანიზაცია და რასასურსათო საქონლის საქონელთმცოდნეობა.

3)საჭმლის მომზადების ტექნოლოგია.

4) საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში.

სპეციალისტთა მომზადება ხდებოდა როგორც დღის, ისე დაუსწრებელ განყოფილებებზე. 1990 წლიდან სავაჭრო-ეკონომიკურმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დროის შესაბამისი სპეციალობების დანერგვა. ტექნიკუმს შეეცვალა პროფილი და მრავალგვაროვან კოლეჯად გადაკეთდა შემდეგი სპეციალობები: საგეგმო-საბუღალტრო, ეკონომიკური და სხვა.

70 წლის მანძილზე აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა 15600 სპეციალისტმა, რომლებიც ჩართული არიან ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. 1981 წელს ტექნიკუმს შეუსრულდა 50 წელი. 2001 წელს 70 წელი დაარსებიდან, ამ თარიღთან დაკავშირებით რიგ პედაგოგებს მიენიჭათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული სხვადასხვა წოდებები.

1977 წლიდან კოლეჯს ხელმძღვანელობდა იოსებ გვარიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, აჭარის პარლამენტის დეპუტატი და სხვა დამსახ-ურებულ წოდებათა მქონე პიროვნება. ასევე იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ბათუმის მრავალდარგობრივი კოლეჯი ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე საშუალო სპეციალურ სასწავლებლად საქართველოში.

§7. საშუალო პედაგოგიური განათლების სისტემა აჭარაში

საშუალო პედაგოგიური განათლების ისტორია გასული საუკუნიდან ითვლის დასაწყისს. არსებობდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი. შემოგთავაზებთ ზოგად მიმოხილვას.

1923 წლის 15 იანვრიდან ბათუმში მუშაობას შეუდგა მასწავლებელთა მოსამზადებელი რვა-თვიანი კურსები იმავე წელს აგვისტოდან კურსები გაიარა 156

კაცმა, მომდევნო 1924 წელს 300 კაცმა. გარკვეული წარმატების მიუხედავად პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ვერ პასუხობდა მოთხოვნილებებს, ამიტომაც 1923 წლის პირველი ნოემბრიდან ბათუმში გაიხსნა პედაგპოგიური ტექნიკუმი(რომელსაც მაშინ ინსტიტუტს უწოდებდენ) 1925 წლიდან ტქენიკუმი განთავსდა ახლანდელი ბათუმის უნივერსიტეტის შენობაში, სადაც მანამდე ვაჟთა გიმნაზია ფუნქციონირებდა. 1933 წლის 28 თებერვლიდან სასწავლებელს ეწოდა ბათუმის პირველი პედაგოგიური ტექნიკუმი.

ტექნიკუმი არსებობის პირველ წელს შედგებოდა 4 კლასისაგან, რომელშიც სწავლობდა 54 აჭარელი ყმაწვილი და 8 ახლომახლო სკოლის მასწავლებლები რომელთაც სწყუროდათ პედაგოგიური საქმის საფუძვლიაანად შესწავლა .

1924-25 სასწავლო წლის დამდეგს მიღებული იქნა 90 მოსწავლე. 86 აჭარელი ინტერნატში და 4 აჭარელი გარედან მოსიარულე.

1924 წლისთვის ტექნიკუმში სულ იყო 148 მოსწავლე. ამათგან 130 ვაჟი და 18 ქალი ამ უკანასკნელთაგან 13 აჭარელი იყო.

ტექნიკუმის ბიბლიოთეკაში 5320 წიგნი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ ამ წიგნებში ქართული ორი ათეულიც არ მოიპოვებოდა. ამიტომ მოწაფეები თითქმის ჯეროვნად ვერ სარგებლობდნენ ბიბლიოთეკით, რადგან რუსული ენა ჯერ კიდევ არ ქონდათ შეთვისებული.

ტექნიკუმს გააჩნდა დიდი დარბაზი, მუშაობდა რამდენიმე წრე დრამატული, ლიტერატურული, გალობის, მუსიკის მოყვარულთა. ტექნიკუმში გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „ჭოროხი“

მოწაფეთა კვება კარგი იყო. ამის გამო მოწაფეებმა ფიზიკურად საგრძნობლად მოიკეთეს, გაჯანსაღდნენ.

სისუფთავე კლასებში, საძილე ოთახებში, კორიდოში და ეზოში საუცხოო იყო. სამზარეულო და სასადილო აკმაყოფილებდა სანიტარულ მოთხოვნებს.

ტექნიკუმის პირველ გამგედ დაინიშნა შუქრი ვარშანიძე, მის მოადგილედ განათლების დამსხურებული მუშაკი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ლორთქიფანიძე.

დაარსების პირველი წლიდანვე ტექნიკუმში სერიოზული მუშაობა გაიშალა. ის უზრუნველყოფილი იქნა მაღალკალიფიციური პედაგოგიური კარდებით. იმ პერიოდისთვის ძნელი იყო აჭარელი ახალგაზრდების მოზიდვა ტექნიკუმში. შეშინებული აჭარელი გლეხი უნდობლობით უყურებდა ახლად გახსნილ სასწავლებლებს. ტექნიკუმის შემადგენლობის თავდადებულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. მოკლე დროში ტექნიკუმმა აჭარის მოსახლეობაში ისეთი ავტორიტეტი დაიმსახურა, რომ იგი ვეღარ იტევდა სოფლიდან მოზღვავებულ სწავლის მსურველ ახალგაზრდებს.

ტექნიკუმის დაარსებისას ყველა ტექნიკუმიდან და შვიდ წლედიდან მოწვეული იქნა აჭარელი მოწაფეები, მაგრამ მათგან ძალიან ცოტა იყო ისეთები, რომლებიც ცოდნითა და განვითარებით სპეციალურ კლასს შეეფერებოდა. გამოსავალი ერთი იყო, თვით ტექნიკუმს უნდა მოემზადებინა საჭირო კადრი მოსწავლეებისა. ამ მიზნით ტექნიკუმთან გახსნილი იქნა შვიდწლედის უკანასკნელი კლასები.

რასაკვირველია, ენერგიის მობილიზება და ძლიერი ნებისყოფა იყო საჭირო, როგორც მოსწავლეთა აგრეთვე მასწავლებელთა მხრიდან, რათა ოთხი-ხუთი წლის პროგრამა 2-3 წელში გაევლოთ, მაგარამ მოსწავლეებმა იმედი გაამართლეს.

მიუხედავად იმისა, რომ კლასებში 9-12 წლის ასაკის ბავშვებთან ერთად ისხდნენ 16-20 წლის ზრდადასრულებულნი, შედეგი მაინც დადებითი იყო.

1924 წლიდან ტექნიკუმში ჩარიცხული იქნა პირველი აჭარელი გოგონები: სემაეთ ვარშანიძე, ფერიდე ნიჟარაძე, ფადიკო ჩიჯავაძე და სხვა. აჭარელ გოგონათა მოზიდვის საქმეში დიდი როლი ითამაშა სასწავლებლის გამგემ შუქრი ვარშანიძემ, რომელმაც ტექნიკუმში პირველმა შემოიყვანა თავისი ქალიშვილი. გოგონების რიცხვი 1927 წლისთვის 40 აღწევდა, ტექნიკუმში პირველი გამოშვება მოეწყო 1926 წელს. გამოშვებული იქნა 11 პედაგოგი 1928-29 წლეებში 25-პედაგოგი, 1930-31 წლებში კი 65 პედაგოგი.

1931 წლიდან ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა ტექნიკუმის გამგის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, რომელმაც გააუმჯობესა ტექნიკუმის მუშაობა.

პედაგოგიური კადრების მომზადების საქმე ტექნიკუმში ებარა გამოცდილ მასწავლებლებს , ესენი იყვნენ :ლ. ჩიმაკაძე-მასწავლებელი 50 წლიანი პედაგოგიური

სტაჟით, გრ.გორგაძე-ქართული ენის სამაგალითო მასწავლებელი, პედაგოგიური საქმის ოსტატი, ალ.გრიგოლია, გრ.ივანოვი, აკ. კუტივაძე- მათემატიკის საუკეთესო და გამოცდილი მასწავლებლები, ვუკოლ იაშვილი ისტორიის კარგი მეთოდისტი, გიორგი ჩხაიძე და ნატალია ჟორდანია -ბუნებისმეტყველების ოსტატები, იოსებ ხუსკივაძე- ფიზიკისა და ქიმიის საუკეთესო პედაგოგი, გრ.კიკნაძე და ილიას ქათამაძე- პედაგოგიკის დახელოვნებული მასწავლებლები, გ.ნიორაძე- ქართული ენის მეთოდისტი, მელიტონ კუხიანიძე- გალობის და მუსიკის ხელოვანი და მეთოდისტი. ტექნიკუმთან არსებულ არასრულ საშუალო სკოლაში მოღვაწეობდნენ ამაგდარი მასწავლებლები: თინა სიხარულიძე, მარო ლოლუა, ეკატერინე ქუთათელაძე, მარო ცქიტიშვილი, ემილია სიმონიძე და სხვები.

ტექნიკუმში დიდი ყურადღება ექცეოდა პოლიტექნიკურ აღზრდას. ამ მიზნით გამოყოფილი იყო დიდი სახელოსნო, სადაც ერთდროულად მუშაობდა 48 მოსწავლე, (24 ადგილი საერთო და 24 ადგილი ლითონზე)

1930-31 წლეებში ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა ხუსეინ ნაკაიძე, რომლის დროსაც სასწავლებელში გამტკიცდა დისციპლინა, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი გაცდენები, გაიზარდა მოსწავლეთა რიცხვი, შეიქმნა გეოგრაფიის კაბინეტი, გაუმჯობესდა პოლიტექნიკური შრომა და სხვა.

ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმის ღვაწლის შესახებ იგონებენ მისი აღმზრდელები და ამაგდარი მასწავლებლები: ილიას ქათამაძე "სიხარულით აღტაცებით ვიგონებ ჩემს სწავლას პედაგოგიურ ტექნიკუმში, სადსაც დაირწა აჭარელი ახალგაზრდობის აღზრდის ბედნიერი აკვანი. ეს არ არის უბრალო, ჩვეულებრივი მოგონება აჭარელი ახალგაზრდებისთვის, ეს ის პერიოდია, სადაც მან იგემა სწავლა განათლება , იგრძნო, დაინახა ახალი ცხოვრება , ახალი ძალა, რომელსაც წინ ვერაფერი ვერ აღუდგება.

პედაგოგიური ტექნიკუმი იყო პედაგოგების ფაბრიკა, რომელიც თანმიმდევრობით ზრდიდა კულტურული ფრონტის ოსტატებს, რომლებიც მიდიოდნენ სოფლად და თან მიჰქონდათ სინათლე, სწავლა, ბედნიერება , დაუშრეტელი ენერგია

ლავრენტი ჩიმაკაძე-„მიყვარს პედტექნიკუმი იგი ჩემს ხელში დაიბადა, ჩემს თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა დღისით და ღამით თავს დავსტრიალებდი, მისი სიხარული მახარდებდა და მისი მწუხარება მტანჯავდა. საკვირველი ისაა, რომ ჩვენი

ტექნიკუმი მხოლოდ მე კი არ მიყვარს ასე, ის უყვარს ყველა, ვინც კი აქ მუშაობს და მუშაობდა.

ტექნიკუმში თანამშრომლებს ნიშნავდნენ დიდი შერჩვით იმ თვადიანვე აქ ერთსულოვნება დამყარდა და ის გაჩაღდა მუშაობა. მუშაობა აქ მიმდინარეობდა მწყობად საათის მექანიხმივით აწყობოილად, სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილი გეგმის თანახმად. მოწაფემ, მასწავლებელმა, დარაჯმა, დირექტრომა, ყველამ იცოდა,რაუნდა გაეკეთებინა და როგორ უნდა გაეკეთებინა, და თუ ახალგაზრდა იყო და არ იცოდა კოლექტივი გვერდში ეგდა: ჰკითხავდა, გაიგებდა, ისწავლიდა და ასეთი ურთიერთ დამოკიდებულება უთუოდ საუკეთესო აღმზრდელებოითი მაგალითის მაჩვენებელი და მიმცემი იყო მოწაფეთათვის. ნერგავდა მათში კეთილ ჩვევებს, წვრთნიდა მათში ნებისყოფას, ამხანაგურ, კოლექტიურ გრძნობას.

ხუსეინ ნაკაიძე წერდა „პედაგოგიურ ტექნიკუმს სათავეში უდგას გამოცდილი ხელმძღვანელი ნიკ.ლორთქიფანიძე, მასთან არის საუკეთესო მასწავლებლობა, რომელნიც თავს დასტრიალებს ტექნიკუმს, თავის საყვარელ საქმეს, მასვე ჰყავს საუკეთსო ტექნიკური პერსონალი. ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალის კოლექტიურმა, მუყაითმა შრომამ უზრუნველყო პედაგოგიური ტექნიკუმის შინაარსით აღსავსე მუშაობა.

იოსებ ხუსკივაძე იგონრბდა ძნელი იყო, ძლიერ ძნელი პედტექნიკუმისთვის მომზადებული კადრების გამონახვა აჭარელთაგან. სულ რამდენიმე ახალგაზრდა თუ მოიპოვებდა რომელნიც თავის მომზადებით შეეფერებოდა ტექნიკუმს აქ ჩვენ ვაძლევდით საჭირო მომზადებას.

ტექნიკუმის კოლექტივმა ენერგიული მუშაობით დიდი მიღწევები, დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა არამარტო აჭარაში არამედ მთელ საქართველოში.

სიტყვას ვიძლევი არ დავზოგავ არც ჩემს ცოდნა-გამოცდილებას, არც ენერგიას, რათა ჩვენი დიდი აღმშენებლობისთვის საჭირო აჭარელი კადრების მომზადებაში მხურვალე მონაწილეობა მივიღო.

გრ.გიორგაძე ამბობდა „ტექნიკუმი თანდათანიობით შლის ფრთებს, უხვად იზიდავს აჭარელ ახალგაზრდობას და პედაგოგიური ცოდნით უბრუნებს აჭარის

სოფლებსა და ქალაქებს. ტექნიკუმის დაწინაურებას მუდამ ხელს უწყობდა მშრომელი მოსახლეობის ცხოველი ინტერესი და სიყვარული ამ სკოლისადმი.

მძიმე იყო მუშაობის პირობები, ტექნიკუმის დაარსების პირველ პერიოდში. არ იყო სახელმძღვანელოები, პროგრამები, სასწავლო -სააღმზრდელო ხელსაწყოები. არ იყო არათუ მომზადებული კონტიგენტი, არამედ მოუმზადებელიც კი, აჭარელ გოგონებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიმ ოყო, არ იყო მტკიცე მატერიალური ბაზა.

ასეთ წარმატებებს ვერ მივაღწევდით მათავარი აჭარელი ახლაგაზრდობა ისეთი ინეტრესით, სწავლის წყურვილით და ხალისით არ შედგომოდა მეცნიერების დაპყრობას. ჩემს თვალწინ ჩვენთვის მასწავლებელთათვის მუდამ ძვირფასი, საუკეთესო ნიჭითა და ხალისით აღსავსე მოწაფეების მკვირცხლი სახეებია.

მარო ლოლუა „მე დავიწყე მუშაობა აჭარის პედტექნიკუმში 1924 წელს, 4 წლედის ჯგუფის ხელმძღვანელად. როდესაც გავიგე, რომ იქ მე მასწავლებლად ვარ მიწვეეული, შემეშინდა იმიტომ, რომ ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას. ადვილი არ არის ყოვე;ლდღე გადასცე სანიმუშო გაკვეთილები, რომელზედაც დაგესწრებიან ბათუმის საუკეთესო მასწავლებლები. ერთი ჩემი მეგობარი თ.სიხარულიძე მეუბნებოდა „მართალია, არ არის ჩვენი ,მოვალეობა ადვილი, მაგრამისეთი კოლექტივია, აქ რომ ყოველ სიძნელეს ადვილად გადალახავ, ჩემი ემგობრენის სიტყვები გამართლდა.

არანაკლებ საყურადღებოა ის მიდგომები, რომელსაც იყენებდნენ პედტექნიკუმები ახალგაზრდობის სასწავლებელში მოზიდვისათვის.

1925 წელს პედტქენიკუმში მოეწყო აჭარელ ქალთა მოსამზადებელი ჯგუფი. ეს ჯგუფი სასწავლებელში მოზიდულ იქნა დაპირებით, რომ მოწაფეებს ასწავლიდნენ ჭრა-კერვას, რომელიც მაშინ ძლიერ აინტერესებდათ გოგონებს. ჯგუფს მიუჩინეს ჭრა-კერვის მასწავლებელი, მაგრამ ამავე დროს მთავარი ყურადღება მიყრობილი იყო ზოგადი საგნების სწავლებაზე ამ მეთოდმა გაჭრა და ერთი წლის განმავლობაში ჯგუფმა დასძლია 4-წლედის პროგრამა, რის შემდეგაც მოწაფეები გადაყვანილი იქნენ მეხუთე ჯგუფში. ბევრმა მათგანმა დაამთავრა ტექნიკუმი.

1933 წელს გაიხსნა აჭარელ ქალთა ქ. ბათუმის №2 პედაგოგირი ტექნიკუმი, რომლის ფუძემდებელი იყო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი ოლია ჩხიკვიშვილი.

ტექნიკუმი ამზადებდა ერთი პროფილის სპეციალისტებს „დაწყებითი კლასების პედაგოგიკა და მეთოდიკა“

პედაგოგიური სასწავლებელი, ორგანიზებული სასწავლო აღმზრდელობითი პროფესიით, პედაგოგიური კადრების ნამდვილ სამჭედლოდ გადაიქცა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ძირითადად სასაწავლებლის მიერ მომზადებული კვალიფიციური კადრებით კომპლექტდებოდა წლების მანძილზე აჭარის მაღალმთიანი ზონის სკოლები. 1952 წლისთვის ტექნიკუმმა შეწყვიტა არსებობა და იგი გადაკეთდა ვაჟთა და მერე ქალთა სკოლად შემდეგ კი ბათუმის რუსთაველის სახ.პედაგოგიურ ინსტიტუს შეუერთდა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბათუმში კვლავ გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებელი მისი დამაარსებელია ოლია ჩხიკვიშვილის ვაჟი დავით ჩხიკვიშვილი. 1990 წელს პედაგოგიური სასწავლებელი გადაკეთდა უმაღლეს პედაგოგიურ კოლეჯად.

კოლეჯი გამოირჩეოდა მოდერნიზებული სასწავლო არმზრდელობითი და მდიდარი მატერიალური ტექნიკური ბაზით. კოლეჯი თავის მნიშვნელობას წარმართავდა მსოფლოის წამყვანი ცენტრების გამოცდილებასა და რესპუბლიკის სისტემისთვის აუცილებელი და მისაღები ვარიანტის საფუძველზე.

კოლეჯის საგამოცდო სისტემა მკვეთრად განსხვავდებოდა რესპუბლიკის სხვა დაწესებულებების საგამოცდო სისტემიდან, რაც პირველყოვლისა გამოიხატებოდა გამოცდების ტესტების მეთოდით ჩატარებისა ტრადიციული სესიების ნაცვლად, ეტაპობრივი ჩათვლებისა და გამოცდების შემოღებაში.

სწავლების ლექციური ხასიათი, ყველა დამხმარე სახელმძღვანელო, ტესტირების მეთოდი და შეფასების ეტაპობრივი ჩათვლებისა და გამოცდების შემოღებაში.

სწავლების ლექციური ხასიათი, ყველა დამხმარე სახელმძრვანელო ტესტების მეთოდი და შეფასების ეტაპობრივი სისტემა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა წიგნიერებასა სა აკაკდემიური დონის ამარლებას.

კოლეჯში 2000 წლისთვის დღისა და დაუსწრებელ განყოფილებაზე 1566 სტუდენტი სწავლობდა, რომელთა სწავლების პროცესს ემსახურებოდა 168 ლექტოტ-მასწავლებელი, რომელთაგან ერთი საქართველოს განათლების მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილი წევრი , ერთი პროფესორი, ორი დოქტორანტი, ათი მეცნიერებათა კანდიდატი, თოთხმეტი ასპირანტი, და ოცდაშვიდი უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. კოლეჯი ძირითადში უცხოენოვანი და კომპიუტერული პროფილისა იყო. მიმდინარეობდა სწავლება 9 უცხოურ ენეზე (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ბერძნული, ესპანური.)

უცხოენოვან პროფილის სპეციალობებთან ერთად, კოლეჯში ფუნქციონირებდა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის დღისა და დაუსწარებელი სწავლების ფორმები, რომელიც მთლიანად ემსახურებოდა აჭარის მაღალმთიანი რეგიონებისთვის კადრების მომზადებას.

მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით, კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საზღვარგარეთელი პარტნიორებისა და რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების სპეციალისტების კოლეჯში მოწვევის პრაქტიკა. კოლეჯი არაერთი საერთაშორისო სიმპოზიუმის, ზონური ტურისა და სხვა სამეცნიერი-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარების ინიციატორი და მასპინძელია. მარტო 2001 წლის ოქტომბერში კოლეჯის სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები მასპინძლობდნენ „2001 წელი ენების ევროპულ წელს“ ეგიდის საერთაშორისო კონფერენციასა და ინგლისის ტრენტის კოლეჯის სტუდენტებს, აღსანიშნავია ისიც , რომ კოლეჯს საქართველოში აკრედიტებული სხვა საელჩოების მუშაკები სტუმრობდნენ.

ყოველწლიურად იზრდებოდა შემოქმედებითი ურთიერთ თანამშრომლობა საზღვარგარეთის წამტვან სასწავლო ცენტრებთან . კოლეჯს საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებდა ამერიკის, საფრანგეთის კოლეჯებთან, კვიპაროსის ინტერკოლეჯთან, ხდებოდა სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთ.

ტრადიციად იქცა ვიდეოლექციები სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიებისა და კომფერენციების ჩატარება. გამოდიოდა ყოველთვიური სტუდენტური გაზეთი „კოლეჯი“ და „ხელნაწერი“ „ალმანახი“

კოლეჯი ჩართულია ევროკოლეჯების გაერთიანებასა და ინტერნეტში. გააჩნია საკუთარი სიმბოლიკა.

სასწავლო პროცესთან ორგანულადაა შერწყმული თავისუფალი დროის ორგანი-ზაცია. სისტემატიური ხასიათი ჰქონდა მიღებული საინტერესო და გამოჩენილი

ადამიანების პატივგების, პოეზიის საღამოების სხვადასხვა მუსკალურ- შემოქმედებითი ღონისძიებების ფესტივალების ჩატარებას.

კოლეჯთან შექმნილი იყო და ფუნქციონირებდა ინტელექტუალთა კლუბი, ახალგ-აზრდული დრამატული და თოჯინების თეატრი, მუსიკალური სტუდია, საესტრადო და ფოლკლოლური ანსამბლები,მოდების სალონი, როკ ჯგუფი, კაპელა , ვაჟთა გუნდი.

კოლეჯის სტუდენტთაგან 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 3 სპორტის ოსტატი, 34 ოსტატობის კანდიდატი, 30მდე სხვადასხვა სახეობის საქართველოს ჩემპიონი სწავლობდა კოლეჯის მომღერალტთ ჯგუფი სტუდენტური დგეების არაეთგზის ლაურიათი და ვერცხლის პრიზიორია

კოლეჯის სტუდენტობა რესბუბლიკის სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვე-ბული ყოველწლიურად რესბუბლიკის რეზიდენტის რამდენიმე პრემიის მფიობელი ყოველწლიურ ფესტივალებსა და ინტერმედიებში გამარჯვებული იყო. კოლეჯის 4 სტუდენტი ოპერისა და ბალეტის, 10 სიმღერისა და ბალეტის. კოლეჯის სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად იცვლებოდა რომელიც ითვალისწინებდა საკუთარი პოტენციალის სრულ გამოყენებას, კუთხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უმაგლეს კოლეჯს უნარიანად ხელმძღვანელობდა დოცენტი ტემურ ჭანტურიშვილი.

§8. აჭარაში ამჟამად მოქმედი პროფესიული სასწავლებლები

აჭარაში 2019 წლისთვის მოქმედებს პროფესიული სასწავლებლების ფართო ქსელი, მარავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამებით.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ პროფესიული სკოლები ფუნქციონირებს უნივერსი-ტეტებთან. წმინდა ტბელ აბუსელიძის უნივერსიტეტთან მოქმედებს პროფესიული

სკოლა, შემდეგი სპეციალობით:სკოლამდელი განათლების აღმზდელ პედაგოგი, ,პრაქტიკოსი ექთნის, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსის, ტურისტული გიდის.სკლოამდელი განათლების აღმზრდელი პედაგოგის სპეციალობა დაამთავრა 9 სტუდენტმა. 2019 წლის მარტში. ამჟამად სპეციალობით დასაქმებულია 3.წარმო-გიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს აჭარაში მოქმედი ზოგირთი სკოლანდელი დაწესებულების შესახებ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმჭიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: მის .ნინოშვილის/რუსთაველის ქ.35/32.

პროგრამები:

1. ბანკის მოლარე ოპერატორი III საფეხური.
2. პრაქტიკოსი ექთანიმე V საფეხური.
3. ფარმაცევტის თანაშემწე IV საფეხური.
4. ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი IV საფეხური.
5. ბიბლიოთეკარი IV საფეხური.
6. კორესპოდენტი მე.
7. არქიტექტორ-ტექნიკოსი IV საფეხური.
8. მშენებლობის მწარმოებელი.
9. საქმიანობა III საფეხური.
10. ვებ-ინტერფეისის დეველოპერი III საფეხური.
11. ინტერფეისის დიზაინერი III საფეხური.
12. ვებ-პროგრამისტი V საფეხური.
13. პროგრამულ უზრინველყოფის დეველოპერი V საფეხური.
14. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი III საფეხური.

1) საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა /ქობულეთი რუსთაველის 154.

   შეიქმნა 2012 წელს ამავე მისამართზე არსებული პროფესიული განათლების დაწესებულების ბაზაზე. სულ ეს სასწავლებელი არსებობს 1963 წლიდან. საგანმანატლებლო პროგრამებია:

1. კონსულტანტ-გამყიდველი.
2. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე.
3. ფილამწყობი.
4. მღებავი.
5. მშენებლობის წარმოება თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.
6. მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები.
7. მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის საშუალებოთ.
8. წყალმომარაგების სისტემები.
9. ელექტროობა.
10. ჰაერის კონდიფიცირება.
11. შედუღება.
12. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი.
13. ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება.
14. ბუღალტრული აღრიცხვა.
15. ღონისძიების ორგანიზება.
16. საოფისე საქმე.
17. ლოჯისტიკა.
18. საფინანსო სერვისები.
19. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი.
20. ინფორმაციის ტექნოლოგია.
21. კომპიუტერული ქსელი და სისტემები.
22. კულინარიის ხელოვნება.
23. ვებ-ინტერნეტის დეველოპერი.
24. სატყეო საქმე.
25. სასტუმრო მომსახურება.
26. სარესტორნო მომსახურება.
27. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ვიდეო.
28. ტუროპერატორი.
29. თმის სტილისტი.

30. მეფუტკრე.
31. მეხილეობა/ ტესლოვანი კულტურები.
32. ბაღის დიზაინი.
33. ხის მხატვრული დამუშავება.
34. მასაჟისტი რეაბილიტატორი.
35. პრაქტიკოსი ექთანი.
36. ფოტოგრაფია.
37. კონდიტერია.
38. ფარმაცია.
39. ვეტერინარი.
40. საექთნო განათლება.

2) პროფესიული კოლეჯი ეკვატორი (2009 წელი ბათუმი)

პროგრამები:

1. ნავთობმზიდი ტანკების სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული კურსი.
2. ნავთობმზიდი და ქიმზიდი ტანკების გაცნობითი წვრთნები.
3. ქიმმზიდი ტანკების სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული კურსი.
4. რადიოლოკაციური სადგურები,რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენება.
5. პირველადი დახმარების აღმოჩენა.
6. პირველადი სამედიცინო დახმარება.
7. პირადი გადარჩენის მეთოდები.
8. ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა.
9. პირადი უსაფრთხოება და სოციალური სასუხისმგებლობა.
10. კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და საშუალო კატარღების მართვა (გარდა სწრაფმავალო სამაშველო კატარღებისა)
11. საკშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის ზოგადი ოპერატორის კურსი.

12. ელექტრონულ კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციულ სისტემების გამოყენება.

13. ხანძართან ბრძოლის გაფართოებული წვრთნები.

14. გემის უშიშროების ოფიცრის კურსი.

15. რისკის შეფასება კრიტიკულ სიტუაციებში.

16. გემის უშიშროების გაცნობითი კურსი.

3) პროფესიული კოლეჯი ბლექსი ლერმონტოვის ქუჩა N84.

პროგრამები:

1. სამშენებლო კონსტრუირების მოწყობა

2. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

3. საავტომობილო გზების შემკეთებელი

4. ვებ-ინტერფეისის დეველოპერი

5. ინფორმაციის ტექნოლოგია

6. კულინარიის ხელოვნება

7. ელექტროობა

8. კონდიტერი

4)კოლეჯი BPA ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია 2004 წელს დაარსდა. მის. ქ. ბათუმი ქ. გრიბოედოვი N67.

პროგრამები:

1. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა.

2. ბუღალტრის მესამე მეოთხე საფეხურის განათლების პროგრამა.

3. ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე მეოთხე საფეხურის განატლების პროგრამა.

4. ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული განატლება.

5. ფარნაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხური.

6. პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხური.

7. ფარმაცევტული პრეპარატების მესამე საფეხური.

5)კოლეჯი გოლდენ სიი/ ბათუმი ქ.დ თავდადებულის N49.

პროგრამები:

1. ბაგა-ბარის აღმზრდელი პედაგოგი.
2. ბართენდერი.
3. ფილამწყობი.
4. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა.
5. კომპიუტერულიქსელი და სისტემები.
6. კონსულტანტ გამტიდველი.
7. მასაჟისტ რეაბილიტატორი.
8. მღებავი
9. საოფისე საქმე.
10. სარესტორნო მომსახურება.
11. სასტუმრო მომსახურება.
12. საფინანსო სერვისები.
13. თმის სტილისტი.
14. მზარეული
15. კონდიტერი

დასკვნები რეკომრნდაციები

- წმინდა ილია მართალი (ილია ჭავჭავაძე) საზოგადოების გრდაქმნას განათლებში ხედავდა ამ მიმართულებით მან საუკენე ნახევრით გაუსწრო მსოფლიოს თანამედროვე გლობალურ ხედვას, რომელიც გაცხადდა 2015 წელს მირებული ახალ სამოქალაქო მიზნის „განათლება 2030 „ განახორციელებელი განათლების ახალი ხედვის პირველ პრინციპში „ცხოვრების გარდაქმნა განათლების მეშვეობით“. პროფესიული განათლების შესახებ წმინდა ილია მართლის სიტყვაში, წინამძღვარიანთკარში სმეურნეო სკოლის გახსნაზე 1883 წელს განფენილი საკითხები, მიმართულებები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს და ცხადყოფს პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის საჭიროებას, რათა სამომავლო გზები უშეცდომოდ გავიაროთ.
- პროფესიული განათლების მიზნით 1841 წელს გლეხთა ბავშვებისათვის მოეწყო პრაქტიკული სამიწათმოქმედო სკოლა მიწათმოქმედების ,მებაღეობის და მესაქონლეობის ფორმით. 1830 წელს დარსდა ტოპოგრაფიის სკოლა. 1847 წელს სამიჯნო სკოლა. სკოლასი შესვლისათვის აუცილებელი იყო რუსული ენის ცოდნა, ამას ემატებოდა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის სიმცირე. 1897 წლის მოსახლეობის აღწერით აღმოჩნდა რომ მოსახეობის 76 % წერა კითხვის უცოდინარი იყო.
- 2015 წლის სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში 57 მილიონი ბავშვი დარჩენილია სკოლის გარეთ ან შეზღუდული აქ დაწყებითი განათლების მიღება. დასახულია მოქმედების ჩარჩო 2030 წლმდე შესასრულებლად, რომელიც მოიცავს წერა- კითხვის ლიკვიდაციისთვის ახალი გზებისა და ფორმების მოძიებას და განხორციელებას. წერა-კითხვის გავრცელებისათვის მოძრაობა საქართველოში დაიწყო მე-19 საუკუნეში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. მე-20 საუკუნეში იგი გაგრძელდა „ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მიმართულებით“და თვალსაჩინო წარმატებული შედეგი მოიტანა. 1970 წლისთვის

წერა-კითხვის უცოდინარ მოქალაქეთა რიცხვი როგორც ქალებში ისე მამაკაცებში იყო 99,9%. შეიძლება ითქვას წერა კითხვის ლიკვიდაციიშტვის მუშაობა საქართველოში მსოფლიო გლობალური პრობლების წარმოქმნასა და მოძრაობას საკოლო განათლება ყველა ბავშვისათვის ორი საუკუნით გაუსწრო და მოკლე დროში მოიპოვა შედეგები. არსებობს წარმატებული გამოცდილება, რომელიც შეიძლება გაიზიაროს მსოფლიომ, სამწუხაროდ ამ მიმართულებით ჩვენს პედაგოგიურ მეცნიერებაში კვლევა არ არის.

- პროფესიულმა ტექნიკუმებმა ენერგიული მუშაობა გასწიეს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის. ტექნიკუმების მასწავლებლები, მოსწავლეები სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას უსასყიდლოდ ასწავლიდნენ წერა-კითვას.
- პროფესიული განათლების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოძრაობა დაიწყო 1921-1922 წლიდან იგი ვათარდება ქვეყნის ეკონომიური საფუძვლების განმტკიცების საფუზველზე იმ მოთხოვნილებების შესაბამისად, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება აყენებდა, განსაკუტრებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ზოგადი განათლების, ჯანდაცვის, ხელოვნებისა და სხვა დარგების რეალურ მოთხოვნილებათა მიხედვით.
- 1925 წლიდან გაძლიერდა სამეცნიერო ტექნიკური მიმართულება, რომელიც მოიცავდა ინდუსტრიულს, სასოფლო-სამეურნეოს,სამრეწვწლო-ეკონომიურს და მუშათა განათლებას.
- 1930-31 წელს მოქმედებდა 137 ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებელი, აქედან მშენებლობის დარგში 22 ტექნიკუმი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში ხუთი ტექნიკუმი.
- აჭარაში პროფესიული-ტექნიკური განათლებისა და საშუალო სპეციალური განათლების შესახებ კვლევები ჩატარებული და თავის ნაშრომებში ჩართული აქვთ: თ. კომახიძეს ქალაქ ბათუმში არსებული დაწესებულების შესახებ, ნ. გუგუნავას. ამ მიმართულებით ფუნდამეტრული კვლევის განხორციელება აუცილებლად მიგვაჩნია.
- ქალაქ ბათუმში 1889-90 წელს გაიხსნა სხელოსნო საწავლებელი რუსთაველის-ა და 26 მაისის ქუჩების კვეთაში, რომელიც 1921წელს გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა ინდუსტრიული კოლეჯი.

- 1921 წელს დაარსდა სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებელი.
- 1923 წელს გაიხსანა ელექტროტექნიკური და მექანიკური ტექნიკუმი, რომელიც 1929 წელს გადაკეთდა საზღვაოსნო ინდუსტრიულ ტქნიკუმად, ხოლო 1949 წელს საზღვაოსნო სასწავკებლად.
- 1925 წელს მწვანეკონცხზე გაიხსნა ბათუმის სამეურნეო ტექნიკუმი.
- 1974 წელს ლეონიძის ქუჩაზე აშენდა N 44 პროფსასწავლებლის კომპლექსი 1300 მოსწავლეზე 450 ადგილიანი საერთო საცხოვრებლით, სასწავლო კორპუსებით, სასადილოთი.
- 1974 წელს ლერმონტოვის ქუჩაზე შეიქმნა N76 პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი.
- განათლების განვითარება მითხოვდა პედაგოგიურ კადრებს, ამ მიზნით 1923 წლის იანვრიდან ბათუმსი მუშაობას შეუდგა მასწავლებელთა მოსამზადებელი 8 თვიანი კურსები, 1923 წელს გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელსაც მასინ ინსტიტუტს უწოდებდნენ. 1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა ბათუმის პირველი პედაგოგიური ტექნიკუმი იგი განთავსდა ვაჟთა გიმნაზიის შენობაში ამჟამად უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.
- 1933 წელს გაიხსნა ბათუმის N2 პედაგოგიური ტექნიკუმი, რომლის ბაზაზე 1990 წელს ჩამოყალიბდა ბატუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი.პედაგოგიური კადრების მომზადებაში საშუალო პედაგოგიურმ სასწავლებლებმა მნისვნელოვანი როლი შეასრულეს. ფაქტიურად აქ მომზადებული კადრებით იყო დაკომპლ-ექტებული აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასები.
- მნიშვნელოვანი იყო 1990 წელს ხულოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა. იგი ეკუთვნოდა საქართველოს საპატრიარქოს. პირველ რექტორად დაინიშნა დეკანოზი გრიგოლ აბულაძე(ამჟამად სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი) მისი დიდი მცდელობითა და მოწადინებით ხულოს სკოლა-ინტერნატის შენბა გადაეცა პროფესიულ სასწავლებელს, სადაც პირველსავე წელს ჩაირიცხა 600 მოსწავლე, პროფესიულმა სასწავლებელმა მნისვნელოვანი როლი შეასრულა ზემო აჭარის პროფესიული სწავლების განვითარებაში.

ამჟამად აჭარაში ფუნქციონირებს სხვადასხსვა სპეციალობის 10 ზე მეტი პროფესიული სკოლა მათ შორის წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის უნივერ-სიტეტი შემდები სპეციალობებით:სკოლამდელი განათლების აღმზრდელი პედაგ-ოგი,ტურისტული გიდი, საბუღალტრო არიცხვის, კომპიუტერულ ტექნილოგიების სპეციალისტი, პრაქტიკოსი ექთანი,

პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული ნაშრომები არასაკმარისია და საჭიროებს ფუნდამეტურ კვლევას, რათა წარსულის გამოცდილება მომავლის წარმატების ხელშემწყობი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი -1944 ახვლედიანი ნარკვევები აჭარის ისტორიიდან.
2. ბაბილოძე-1979-ბაბილოძე გრიგოლ განათლების აღმავლობა აჭარაში.
3. თოდაძე-1975-თოდაძე შალვა ბათუმის ნომერ პირველი პროფტექნიკური სასწავლებელი.
4. წულუკიძე-1995-წულუკიძე ვახტანგ ეროვნული სკოლის მშენებლობის გზაზე.
5. კომახიძე-1996-კომახიძე თეიმურაზ ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები.
6. აჭარის ცენტრალური არქივი, აღწერა 1 საქმე პირველი.
7. ჭანტურია-1980- ჭანტურია ვლადიმერ - ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (რუსულ ენაზე).
8. ჭირაქაძე- 1937- ჭირაქაძე ალექსანდრე- სასოფლო-სამეურნეო განათლების კერა აჭარაში.
9. ი. რ. ჯაფარიძე- საშუალო სპეციალური განათლების ისტორიიდან საქართველოში.(19-21-1972)